

ნიანა

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

№ 9-10 მაისი 1986



ჩაუკვამ, იგი შინა,
ამას არ უნდა ციხობა,
ჩინადა მოკვამ, ვკვამდე,
ვკვამინა აქა ყრილობა!

ქათა ზეზინაძე



სტუმრად ვესწრები ყრილობას -
მწერალთა საზვიმო ნაღს!
სხედან მწერლები, წრუპავენ
„ფუნიონას“ და ლიმონათს!..
არა ლუდთან და ლეონთან,
არა სილთან და წვენებთან -
მუნა, საერთოდ თუ მიდის,
მიდის ბუნებით მწერლებთან!
(აკაკი სვამდა „ბორჯომს“ და
ვგნატე სვამდა ლიმონათს!
ერთმა „გამზრდელი“ დაწერა,
მეორემ კიდევ - „სიმონა“!).




ანუ ნიანბი საქართველოს

ჯერ რევაზებს მივესალმე -
ჭვიშვილს და ინანიშვილს,
ჯაფარიძეს, ამაშუკელს,
თაბუკაშვილსა და... მის შვილს!
(დაწერს ახალ პიესას და
გადაისდის იმით ძველ ვალს!
ჩვენს ლაშაზე მოგასვენებთ
- იცნობთ, ალბათ, ლაშას „ძველ ვალსს“!).
მივესალმე თვარაძეს და
გაბროვოელ გაბრიძეს!
რევაზებო! რეზოებო!
სულ ვკითხულობ მე თქვენს ნაწერს!
მივესალმე მიშველაძეს!
მივესალმე დანელიას!
ჩხარტიშვილს და... რევაზები,
მგონი, უკვე დამელია!..
მეტისმეტად ჭკვიანები,
მეტისმეტად ლამაზები -
უკვე დროა, ჩამოვთვალო
დღევანდელი თამაზები:
ბიბილურის წივწივაძე!
თ. ჭილაძე! თ. ჩხენკელი!
გოდედრძიშვილს, ბაძაღუას
ღმერთმა მოუმართოთ სული!
გამარჯვებულთ, გალაღებულთ
ვსედავ საყრილობო ვასტთან,
ვ. ჭელიძეს - ბატონ ვასტანგს!
ჯავახიძეს - ისევ ვასტანგს!
სხვა ვასტანგებს - ხარჩილაძეს,
გორგანელს და გოგოლაშვილს!..
(ვჩქარობ, რომ არ ამერიოს
ქების სიტყვა ქოქოლაში).
სპარსთა ენის დიდი მცოდნე
ბუერი ჩანს აქ, მაგალითად:
ვასუშტი და გვანარია,
და, ცხადია, მაგალითო ღ...
იმერელი, ყრილობაზე
ჩამოსული ღორუმიდან, -
ზის და დარბაზს აკვირდება
ამხანაგი გურუშიძე!
არ ვიცი, როგორ გავწვდები
სოტყვის და აზრის გურმანებს,
ნაღდ კრიტიკოსებს, ნაღდ მწერლებს,
პროზის პოეტებს - გურამებს:
გ. ფანჯიკიძეს - ძმას ჩვენსას -
ღმერთმა უკურთოს კალამი
გ. დონანაშვილს - სალაში!
გ. გვგვიძეს - სალაში!
გ. ბათიაშვილს აღარ აქვს,
როგორც გავიგე, ვალუბი!
ბუნაშვილსა და კანკაძეს
ვთხოვ, მოიკრიბონ ძალები!

სხირტლაძეს, აქიმს, ვუმაღლი -
ვკადებოდი, ბუნებუ ვკვიდე!..
სალამი გ. გოგიაშვილს
და მის სესნიას - გვერდწითელს!
პრუსტი? - ვინ პრუსტი, რა პრუსტი?!
მანი? - ვინ მანი, რა მანი?! -
აგერ, ჩვენს თვალწინ შეიქმნა
ათობით ნაღდი რომანი!
მომწონს ჩხეიძე - ოთარი!
მომწონს ჭილაძე - ოთარი!
აქვე ჭელიძეც - ოთარი!
და მამფორიაც - ოთარი!
ოთარ ნოდიაც გამოჩნდა!
მაგრამ ყოფილან ცოტანი!
მანც, რა სული აწონის
განძის, ოთარუბის მოტანილს?!
ლაშის შეკრული ჯგუფები
დავშალო, როგორც ტიუები!
ლაშის საფანგში გავება -
ვერ ჩამოვთვალო გივები!
სალამი გივი გეგეჭკორს!
სალამი გივი ძნელაძეს!
ჯოსაძეს! მალულარიას!
(ძნელაძე სხვებზე ნელა წერს!).
ისე, კარგს იზამ მკითხველო,
თუკი დროს დამაზოგვინებ
და, მარტომ რომ არ ვიწვავო,
შენც გაინსნებ ზოგიერთს!
სასლი? - როგორიც გნებავდეთ!
მაგრამ პოეტის ლირა კი
უნდა ისეთი, როგორიც
აქვს აბაშიძე ირაკლის! -
სულ მუდამ ამაღლებული,
სულ მუდამ შემართებული,
ჩვენი წარსულის მგოსანთა
დიდ ლექსებს შემატებული!
გალაკტიონი - სულ არ გეყავს!
კონსტანტინე კი - ერთი გეყავს!
წასულთაც ვისენიებდეთ! -
ამას გვასწავლის ეთიკა!
მადლობა, ნოდარ დუმბაძე,
ყრილობას შენც რომ ვესწრები!
არსად წასულნარ! ჩვენთან ხარ!
ჩვენთან ხარ მთელი ეს წლები!
ლამაზი კაცი იყავი,
ასლა ლამაზი გემი ხარ
და, სადაც უნდა იცუროს,
ნიანგელი ხარ, ჩემი ხარ!
გემ „ლუონიძეს“ მადლობა!
გემ „გალაკტიონს“ მადლობა! -

ქარიშხლებსა და შტორმებში
მოეწყო თქვენი ნათლობა!
თქვენ კი, ვინც დარჩით ნაპირზე,
გთხოვთ, გაუფრთხილდეთ კალმის წვარს:
წყალი ნაწერში არ მოსვდეს,
შარვლები აიკაპიწეთ!
კარგია, საქმე როდესაც
ესება კაკი ბაქრაძეს!
თავში იოლად მოვიდა
ბაქრაძის რითმა: „მაგრა წერს!“
აღარც კი მახსოვს, მკითხველო, ...
წულან ჩაფიქრდი აქ რაზე!
პო! „ბაქრაძეს“ და „მაგრა წერს“.
გთხოვ, გაურთიშო „მაღრაძეც!“
ხმლის - უქარქაშოს - პატრონი
სანაიკიძეა ლევანი!
მალაზონიას, ნუ ჰგონებთ,
წიგნმან დაწყოს ლევანი!
ბესიკი - ერთი ძველი გეყავს,
მეორე კიდევ - ახალი!
თითო-თითო გვაქვს ჯარჯის და
თედოს და ვანოს სახელი!
ორივე მიშა-მისვილს -
ქვლივიძესა და ქურდიანს -
ხელში - ნამუსის კალამი,
თავზე - ნამუსის ქუდი აქვს.
სულაბერიძეს, მრეულაშვილს
და ალფენიძეს - ლადოებს -
შესვდეთ! - ტომებს ასხედან
(ტომებს და მერე რა ტომებს!),
გალობენ მუზის მსახურნი
თვეთ მარიაკადან - იზამდე!
მერთო, მათ ტრიუმფს შემასწრო! -
ნეტაი ამას იზამდე!
ლექსები განა სხვებივით
აქვს დაშლილ-დასაკემსარი!
იციანის მარტო მე ვიცი,
რაზეც იციანის ვმზარ!
საქმე თუ ლექსზე მიდგა და
დაუბერებელ კალამზე,
უნდა უთუოდ ვასხენოთ-
ბატონი კარლო კალაძე!
აქვეა გ. კობერიძე
და კარლო - არსენაშვილი
აქვეა გ. ტაბატაძე -
მრგვალი, ვით რგოლი მაშველი!
ხამს, ქავთარაძეც ვასხენოთ -
ბატონი იროდიონი! -
წული ოთხმოცდაათხმეტი

ინტელექტი



მუმიანი, ძმომ! ჯუშუბერ, ძმომ!
ღმერთი ზუგდიდს აგიშენებთ!
სხვა ენვერი არ გეყავს, გეწყვიტე!
დაუწყვილდი შენს თავს შენვე!

აგერ - სოსო! - ერთი სოსო!
გერ - ბადრი! - ერთი ბადრი!
აგერ - კობა! იორამის,
ოტიასიც ვიცი ყადრი!
გაუმარჯოს ბატონ გრიგოლს!
ბატონ ჯანსუღს - ჩვენს ჯანუკის!

ამ დიდ კაცთა ამ დიდ ფორუმს
მისიც ადგას დიდი შუქი!
დროს არ კარგავს ღვინჯილია,
უკვე უკვეთს წერილს სარგისს,
ავტორისგან ნაჩუქარი
„პარკერი“ აქვს ახალ მარცის.
მეტრს-ჩვენს გურამ მეტრიაშვილს,
მის ოპონენტს - ალსაზიშვილს -
ამ დღეს მაინც ერთმანეთის
ალბა აქვთ, ვხედავ, შიში!

თენგიზ ბუაჩიძე წერს და
თენგიზ გოგოლაძე ხატავს,
ამას წინათ დაუსხატავს
თინა დონეაშვილის კატა.
ღმერთმა ნუგზარ წერეთლისა
მოგცეს, ტაგუ, გუნებაო -
უყვარს „მრავალგამიერის“
ტკბილად დაგუგუნებაო!
ნარსიას და ადვიშვილს -
ჩვენს ნოდარებს - უყვართ ლექსი,
ნოდარ ჯალაღონია კი
გეყავს პოეტი-ექსტრასენსი!

უნდავ დიდ მაკდონელთან
დამარცხებულ ლექსის სარდლებს:
შანიძეს და ბუგაშვილს და
გომიაშვილს - ალექსანდრეს!
აკაკისას ვიტყვი ქებას! -
ქებას ვერცყვი ამით შამილს!
გეწერებთ, გეწაძევე და
გაწერელიავე - იმამო!

სახელიანს, უსახელოს,
პატარას თუ გამოჩენილს -
გაუმარჯოს ყველა მწერალს.
ამ სიაში გამორჩენილს!
მიულოცავენ ზოგზოგებს
გამგეობაში არჩევას!
ზოგის - როსროსი დარჩება!
ზოგის - წიგნები დარჩება!

ვინ - ნამდვილ სახელს იშოვის,
ვინ - ნამდვილ სახლს და აგარაკს!
(ამის გარჩევის ადგილი
სულ სხვაგან არის, აქ - არა!).
სხედან ქართველი მწერლები,
წრუპავენ ყურძნის ლიმონათს
და წერენ შეყვანებებზე
ახალ „გამზრდელს“ და „ნიმონას“!

ტია-ტია

მწერალთა მათა ყრილობაზე

განსვით არც ისე იოლი!
იროდიონის კბილა,
იროდიონის ტოლაო,
კ. ნადირაძე მსცოვანი -
ჩვენი ბატონი კოლაუ!
ჯავახიშვილი - თამარი!
და ერისთავიც - თამარი!
ორივე არის პირველი!
ორივე არის მთავარი!
ნიშნინაძე, ლომსაძე -
აქვთ და იქით - შოთები!
სუფრას ძალიან უხდება
შოთების რითმა - შოთები!
ბერულავა და გაბუა -
იქით და აქვთ - სუტები!
მიდის და მიდის მოსკოვში
პწკარედით სავსე ყუთები!
მიშა ლოსვიციის ასხენებს
რუსთა მწერალთა ბანაკი!
სომეხ მწერალთა გუნდიდან
ისმის დიდება ბენიკის!
ზ. გორგილაძის ღმილილი,
ზმა სამსონია ალესი
გულზე მალამოდ მედება -
ვაფასებ სიტყვას ალესილს!
ხელს მაგრად ვართმევ გიორგის
„სამოციანელ“ სუსაშვილს,
მწვავე კრიტიკას რომ დაწერს,
ნულარ შეაგდებს ბუხარში!
„ბალვანკის“ ოსტატს შეუცვლელს,
ბოსნიეთ მსატარს, ბოსსის შვილს,
ერთ-ორ „ბალვანკას“ ჩვენც დავწერთ -
ამას ვთხოვთ მორის ფოცნიშვილს!
დიდების კვარცხლბეკს უხდება
ამირეჯიბი ჭაბუა -
ექვსი ქართველის მამა და
ოცდათექვსმეტის ბაბუა!
სალამი თარბას, შინკუბას
და ზაურ-გენო-რენესა! -
ღმერთმა მომასწროს მე მაგათ
აფსაზურ-ქართულ რენესანსს!
„ნიანგის“ რედკოლეგიის
წევრია ძველი, ნაფიცი,
არც ერთი სიტყვა მაღალი
არ მენანება ნაფის თვის!
გვევედრება ციციშვილი -
უნდა სძლიოთ სისარბესო!
(სარბ მწერლებს რომ დაერიო,
ვაი, ამ დროს სა სარ, ბესო?!).

ანერხებენ ზოგჯერ ზოგნი -
ამ ცხოვრების ყუა მოსრან!
რა გამოვა, ძმომ მუმიანი?
არაფერი ჩემო მუსრანი!
ციციშვილს და სორგუაშვილს,
ნატროშვილს და მეტრიაშვილს -
ჩვენს გიორგებს გაუმარჯოს! -
მაგათ სიტყვას! მაგათ ნაწერს!
რომანისტებში ჩამდგარა
მიმინოშვილი რომანი! -
ალბათ აპირებს რომანი,
თვითონაც შეთხზას რომანი!
რომანის ვევერდით - მოთხრობა,
ანუ ვლადიმერ თორდუა!
თორდუას ვევერდით - ბაჩანა:
თორდუა მისი მორდუა!
გოგის - ნიშნინაძეს და
გოგის - განჩილაძეს და
მათ სენიებს ვთხოვ - ნორმები
დაგვიდგინონ ქვევის წესთა!
ვაშა ნონას, ნანას, ნუნუს,
ნინოს, ლიას, შაკას, დალის!
არასოდეს მოკლებოდე
მათს ნაფიქრალს ნაღვერდალი!
გაუმარჯოს ანას! დოდოს!
ჩვენს მედეას! ჩვენს ლვილას!
ჩვენს ნაზის და ჩვენს დალილას -
იმათ ლამეს! იმათ დილას!
დავითს - დათო წერედიანს,
და დათუნას - კვიციანიძეს,
რა სწრაფად წერს კვიციანიძე! -
ახე გეგონება, იწერს!
გაუმარჯოს ბატონ დავითს! -
უხე იგი, დავით მეტეღლურს!
(ლექსებს გვიწერს კაცურს, მამლურს!
და კრიტიკას - ცოტა დედლურს!).
ჩხიკვიშვილი - ავთანდილი,
და ხალვაში - ლომი ფრიდონ -
კვლავ სჭირდება დღეს ტარიელს,
რომ ქაჯები ისევ „ბრიდონ“!
რა უნდა ვთქვა გელაშვილზე -
ჩვენს მომსიბლავ ნაირაზე?! -
მოსდენილად, დაუზარლად
აფრქვევს ნაირ-ნაირ აზრებს!
სულაკაურს - ბატონ არჩილს -
დაეფუძნა თუშეა მარტყოფს -
მთაწმინდისაც მოსწონს ხედი! -
ჩემი ჭკუით ასე ვიტყობ!
ვესალმები შამანაძეს -
მამას და შვილს - შამანაძეს!
(მითხრავს, თითქოს მამა ზოგჯერ
აქვეყნებდეს შავად ნაწერს!).

გერონტი ქიქოძე



მეგობრული შარტი ღონისძიება

გერონტი ქიქოძემ პირველად ამ ასი წლის წინათ იტარა, — სწორედ წელს სრულდება ასი წელი მისი დაბადებიდან, — და თუმცა ჩვენ არ ვიცით, როდის გაიცინა მან პირველად, მაგრამ ყველას, ვინც მის ღიმილს შემოქმედებას და ბალზაკისა თუ სტენდალის, მერიმესა თუ დოდოს მისეულ ბრწყინვალე თარგმანებსა გაცნობილი, კარგად მოეხსენებათ, რომ ჩვენი სასიკეთლო უბილარისათვის არც ვოლტერისებური მწარე სიცილი იყო უცხო ხილი. ამას ადასტურებს, ერთი მხრივ, მის ნაწერებში უხვად გაბნეული ღიმილიანი ფრაზები და, მეორე მხრივ, ჩვენამდე შემორჩენილი მით მოღწეული მისი სარკასტული გამოთქვები. სჯობს პანთეონში გადაგასვენონ, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს პანთეონიდან გადმოგასვენონ — უბრძანებია ერთხელ ბატონ გერონტის.

ჩვენთვის ღრმად არ იყო ცნობილი, გერონტი ქიქოძეს იუმორშიც თუ ზქონდა კალამი ნაცადი. სწორედ ამიტომ, უფრო მადლობას მოვასწენებთ მწერლის ქალიშვილს, ცნობილ მთარგმნელს თინათინ ქიქოძეს, რომელმაც მამის არქივში მიაკვლია და „ნოანგს“ დასაბეჭდად გადმოსცა მწერლის ეს „ანდერძი“. სიამოვნებით ვბეჭდავთ მას საქართველოს მწერალთა X ყრილობისადმი მიძღვნილ ნომერში.

საღ ღონისძიებო ზაფხულში! ან ღონისძიებანი ჩვეი სახლის უკვლავსაყოფად

მსკითხვა ჩემს წინაშე ყოველთვის მწვავედ დგება ზაფხულის თვეების დაწყებისთანავე. ბორჯომში სინესტე მაწუხებს. ქვიშხეთი ქარიანი, აქ განუწყვეტლად ქარი ქრის დილის თერთმეტი საათიდან საღამოს შეიღრვა საათამდე, ესე იგი იმ დროს, როცა ადამიანს გინდა მოლზე წამოწვე და ზეცას უტყურო. ახალგაზრდობაში ბახმარო მიყვარდა, მაგრამ გული დამიავდა და ვეღარ ვიტან ორი კილომეტრის სიმაღლეს. სხვაგან, სანატორიუმებში და დასასვენებელ სახლებში, ერთხელ მგვრის მსახური ქალის ერთი და იგივე შეკითხვა: „დამსვენებელი, სადილად რას ინებებთ, ღორის ხორცის კოტლეტს, თუ ცხვრის ხორცის გულიაშს?“ საბჭოთა ტექნიკის უკანასკნელმა გრანდიოზულმა მიღწევამ, სპლანეტაშორისო ხომალდის აგებამ არაჩვეულებრივად გააფართოვა ჩვენი დასვენების შესაძლებლობანი. ჩვენ ჩქარა ადვილად შეგვეძლება მარსზე გავემგზავროთ. იქ ჰავა უფრო გრილია, ვიდრე დედამიწაზე. მაგრამ უბედურება ისაა, რომ მარსზე, როგორც ასტროფიზიკოსები ამტკიცებენ, წყლის ნაკლებობაა და ისიც მდორედ მიედინება არხებში. მე კი ჩანჩქერების ჩხრიალი და ნაკადულების ბუტბუტი მიყვარს.

მეორე ჩვენი მახლობელი პლანეტა ვენერაა. თუ მარსზე საფრთხე არ მოგველის, რომ მუდამ პოეტური ენით ვილაპარაკებთ და სამიჯნურო კავშირებს გავაბამთ იქაურ მექანიკურ ქალებთან, ვენერაზე, პირიქით, მუდმივი პოეტური აღტყინება და დაუსრულებელი რომანები გვემუქრება. ხოლო რადგანაც ვენერის ზეცა მუდამ ორუბლებითაა დაფარული და იქ არასოდეს ღურჯი ზეცა არა ჩანს, ჩვენი სატრფილო კავშირები ვენერაზე მოკლებული იქნება ყოველივე რომანტიკას და უფრო ცხოველური ხასიათისა იქნება. ამიტომ ხანდაზმული რომანტიკოსებისათვის, რომელნიც თითქმის წარსული საუკუნეების გადმონაშთს წარმოადგენენ, ვენერაზე დასვენება არ იქნება სასიამოვნო.

ზემონსენებული მოსაზრებების გამო მე გადავწყვიტე ეს ზაფხული ისევ თბილისში გავატარო: მით უმეტეს, რომ საიუბილეო ასაკი მიახლოვდება და მინდა თვალყური ვადევნო, რათა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა და გამგეობამ, აქტივთან ერთად, სათანადო ღონისძიებანი მიმღონ ჩემს უკვდავსაყოფად.

ჩემის მხრით მე ვაღებ შედგენ წინადადებას:

ვადგენ რა წინადადებას ჩემი სახელის უკვდავსაყოფად, ვთხოვ პრეზიდიუმს, მწერალთა კავშირის გამგეობასა და აქტივთან ერთად გულდასმით შეისწავლოს ისინი და მიიღოს ღონისძიებანი პრაქტიკულად მათ განსახორციელებლად:

1. ჩემი სახელწოდების დღე — პირველი აპრილი და ჩემი დაბადების დღე — ოცდაერთი აგვისტო გამოცხადებულ იქნეს ერთდროულ დღესასწაულად, ხოლო ჩემი გარდაცვალების დღე — ერთდროული გლოვის და მარხულობის დღედ (ძველი დროს წითელი პარაკევიით).

2. დადგინდეს, რომ „ტრისტან და იზოლდა“, ბალზაკის, სტენდალის, მერიმეს, დოდოს და სხვათა ნაწარმოებები წარმოადგენენ არა ჩემს თარგმანებს, არამედ ჩემი ორიგინალური შემოქმედების ნაყოფს. იაკინთე ლისაშვილს დაევალოს ამის შესახებ სათანადო მითითებანი მისცეს საგამომცემლო ორგანიზაციებს.

3. ჩემი უკვდავი ნუთტაეპიანი ლექსი, რომელიც შალვა აფხაიძის არქივში ინახება, გამოიცეს მრავალმილიონიან ტირაჟად ყველა თეთრკანიანი და ფერადკანიანი ერის ენაზე. ამ გამოცემას დაერთოს ვრცელი გამოკვლევა და კომენტარები ორმოცი თაბახის მოცულობით.

4. ჩემი ჰონორარის ერთი ნაწილი მოხმარდეს პრემიებს ხელოვნებისა და მეცნიერების ყოველი დარგის ნაწარმოებებისთვის. სხვათა შორის, ერთი პრემია — ორასი ათასი მანეთის რაოდენობით — დაწესდეს მეცნიერული შრომისთვის პათოლოგიურის ფსიქოლოგიის დარგიდან შემდეგ თემაზე: „რა გავლენას ახდენს განდიდების მანია, დენის მანია, ეროტომანია, და გრაფომანია მხატვრულ შემოქმედებაზე“.

5. შეეცვალოს სახელი ქალაქ ქუთაისს, სადაც მე საშუალო სასწავლებელი ვსწავლობდი, და დაერქვას მას გერონტოპოლი (კონსტანტინეპოლის ანალოგიით); დიპლომატიური არხების გზით შუამდგომლობა აღიძრას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინაშე, რათა ლაბაცისკს, სადაც მე სტუდენტობის წლებში გავატარე, ეწოდოს გერონტოპოლი (პეტერბურგის, ფრაიბურგის და სხვათა ანალოგიით). თბილისს ვუტოვებ ძველ სახელწოდებას, მხოლოდ პლენანოვის პროსპექტს დაერქვას გერონტი ქიქოძის სახელი.

6. დაევალოს სახალხო მხატვრებს — უჩა ჯაფარიძეს და ლალო გუდიაშვილს — დახატონ ჩემი ორი პორტრეტი რეალისტურ-სიმბოლისტურ სტილში: ერთზე მე წარმოდგენილი უნდა ვიქნე ფეხზე მდგარი, გაშლილი ეტრატით ხელში, ხოლო მეორეზე — ცეცხლის მჭრინავ რაშზე ამხედრებული, შიშველი მახვილით მარცხენა ხელში (ნიშნად ჩემი რევოლუციური აღტყინებისა). რაშის ფლოკებებს ქვეშ უნდა დაიხატოს მიწაზე გათხრული თეთრწვერიანი მისრწინილი მოხუცი, სიმბოლო დათრგუნვილი კაბიტოშისა. ეს პორტრეტები უნდა დაიკლოს ჩვენი სახალხოს დარბაზში, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის პორტრეტების გვერდით.

7. ვალოკო თოფურიძემ ფერად-ფერადი მარმარილოსაგან (მაქს კლინგერის „ბეთშოვენის“ მსგავსად) გადმოაქანდაკოს ჩემი ფიგურა მარმარილოს სავარძელში მჯდომარე ადამიანის სახით, წელსზემო შიშველი, ხოლო მუხლებზე მანტიავადაფარებული. ეს ძეგლი დაიდგას მწერალთა კავშირის სახალხოს ბაღში. ნიკოლოზ კანდელაკმა გამოაქანდაკოს ბრინჯაოსაგან, როდენის „მოაზროვნის“ მსგავსად. ეს ძეგლი დაიდგას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შენობის წინ. ჩემი ბიწის წინ, ჯაფარიძის ქუჩაზე, აინთოს მუდმივ ჩაუქრობელი ლამპარი. მისი მეთვალყურეობა დაევალოთ ჩვენს პოეტ ქალებს მარიჯანის ხელმძღვანელობით.

8. მთაწმინდის პლატოზე, ყველაზე მაღალ ადგილას, აიკოს მავროლეუმი, სადაც მოთავსებული იქნება ძვირფასი ქვებით მოკვეთილი სარკოფაგი წარწერით: „გერონტი ქიქოძის — მადლიერი საქართველო!“ რათა ამ სარკოფაგში ჩემ სიკვდილამდე არავინ ჩაწვდეს, შედგენილ იქნეს შერეული საგუშაგო რაში ჩვენი აკადემიის ნამდვილი წევრებისა, წევრ-კორესპონდენტებისა, გამოჩენილი მწერლებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მილიციისაგან ჯამარშელდის მეთვალყურეობით.

9. ყველა ის ქალი, რომელიც მე ოდესმე მყვარებია, ან რომელიც მე ვყვარებოვარ, გამოცხადდნენ უბიწო ქალწულებად და გავაწავნილ იქნენ მონასტერში.

გერონტი ქიქოძე



მუხრან მაჭავარიანი

**ფიჭრი ჯამბაჯურ ორკალიანისა,
ოდეს ჩაის სვამდა და შაქრის
ჩაყრა დაავიწყდა**

ძალდი დასდევს თვის კუდს მგრგვლივ,
ორღობეში მიკვირებოდას
თხა ცანცარა.
რამეთუ დაღაცათუ
აუგი არ თქვას საქართველოისა
ვინცა-ვინ და რამცა-რამ!
ეგება ვინცხას არ ეპრიანებოდეს, მარა
საქართველო კიდე!
სხვებს რომ მწვერვალებით თავი მოაქვთ
იმხელა იალბუხს...
დანარჩენი მკითხველმა გართომოს!

მანტანა ჯამასაძე

ანუ ასე იგი (მამასადამე)

მსუქან ამბიციებს, ანუ ამ ბიძიებს
მიპაყარი თვალი, ესე იგი ყური!..
თუკი როგორც ვეჭხელს, ანუ თამასუქებს,
შემაჩრიან ლექსებს, რაღა გამასუქებს?
იქ ბევრია წყალი, ესე იგი ნეშო...
მუზა რჩება მწყრალი, ანუ უნუგეშო...
მსუქან ამბიციებს, ანუ ამ ბიძიებს,
ანუ ამ ბუბიებს დიდი ამბუბი აქვთ,
ანუ ესე იგი (მამასადამე).

მურმან ლეზანიძე

არაგვი ვაჟა-ფშაველას პროსაქტზე

ნუთუ ისიც არაგვი და შორია,
ფასი რისიც კაპიკი და შურიია?
ვაჟას მთებში გაკოჭილს და ნაარაგვალს
ეს წყალი და ნიაღვარი აღარა ჰგავს!..

განა კლდეზე და ლოდებზე ბორჯლიალობს,—
განეთქილი მილებიდან მოჩხრიალობს!..
არ გეგონოს — ჟინვალსა ვარ, არაგვს ველი:
ვაჟას ძეგლთან სულ წყალს მიაქვს
ყველაფერი!..
რა ვქნათ, მურმან, დაღვრილ არაგვს
ვუპატრონოთ,
თუ გავტოპოთ და ყურები ვაპარტყუნოთ?!



ანა კალანდაძე

— წაგვლექე ნიაღვარივით
რითმიან-ვერლიბრიანა?

— რა ვი ტირაჟზე ვფიქრობდი
და არა გამიგია რა!..

— მეც... სხვათაშორის ვიკითხე,
კრიტიკისათვის კი არა!..

ნოდარ დუმბაძე

მე გემი ვარ ახლა, გემი ვარ და ჩემი
სახელი მქვია: „ნოდარ დუმბაძე“. ოკეანეები
მოვიარე, ათასი სიტბო მივიტანე ჩემი ქვეყ-
ნიდან შორეულ მხარეებში, არ გამოილევა
ეს სიტბო, იმიტომ, რომ ქართულია იგი.
მე გემი ვიყავი ადრეც და არა მარტო კაცი!
ქარიშხალს და შტორმს ებრძოდნენ ჩემი
მეზღვაურები — ზურიკელა, სოსოია, ბაჩანა,
ყველა, ვინც მიყვარდა. სიკეთე და სიტბო
მიჰქონდათ მათ ხალხთან. არ გამოილევა
მათი სიტბო. მწერალთა ყრილობის წინ
მივაღექე ბათუმს, ისე მოვაძახე თეთრ
ქალაქს ბოსი ხმით, როგორც საძოვრიდან
დაბრუნებულმა ფაქიზომ იცოდა ოლლა ბე-
ბიას ჭიშკართან. ჩემი ხმის გაგონებაზე
ხალხს თვალეზე ცრემლი მოადგა. „ითი-
ქოს მართლა ნოდარი ბრუნდებო!“ — ამ-
ბობდნენ. მეც ყელში მომეზინა სული. მე
სომ ჩემი ხალხი მიყვარს და არასდროს
წავსულვარ მისგან! ახლა დავივლი ოკეანე-
ებს, ახალ და ახალ ნავსადგურებს, დავივ-
ლი საუკუნეებს, ახალ და ახალ თაობებს და
სულ მუდამ შენთან ვიქნები, ჩემო ხალხო!

აკციბიტერ

ნახ. მ. აბაშიძისა



უსიტყვოდ



— მწერალთა კავშირიდან გამოიყვანე?

დაქვეყნდა საქართველოს საპარტიზო მწერალთა კრილობაზე მრავალი უცხოელი სტუმარია მოწვეული. ჩვენი მკითხველებისთვის ალბათ საინ- ტერესო იქნება ზოგიერთი მათგანის გაცნობა:



უსიტყვოდ

იტალიიდან გვიწვებიან **ჯოტო სტრია** და **როზარტო მანაველი**. ეს მწერლები იტალიური მოდერნიზმის ლიდერებად არიან მიჩნეულნი. მათი შემოქმედებისთვის დამახასიათებელია ყოველგვარი ლიტერატურული ტრადიციის სრული უარყოფა და როგორც ცხოვრების, ისე მწერლობის აბსურდად გამოცხადება, ორივე მათგანი იმითაც არის ცნობილი, რომ ამ ცოტა ხნის წინათ სამ-სამოთახიანი ლოჯიიანი ბინები მიუღიათ ფლორენციის ახალ მიკრორაიონში.

დასავლეთგერმანელი **ჰაინრიხ დვალი**, ამერიკელი **ჯონ ნუა**, ფრანგი **ანა ბელი**, აგრეთვე პოლანდიდან ჩამოსული **ჰან-მ ლი** ინტელექტუალური ძიებებითა და სპირიტუალისტური მედიტაციებით არიან განთქმულნი. ყოველი მათგანის შემოქმედებითი მეთოდი ფსიქოანალიზს ემყარება. **ანა ბელი** სექსუალური პასაჟების დიდოსტატად მიაჩნიათ.

ესპანელი **სოსე ნარსია** იმით არის სახელმოხვეჭილი, რომ მადრიდში მცხოვრებს დღემდე ანდალუსიური ნოსტალგია აწვავლებს თურმე.

კოლუმბიელი **ო ჩიბაპა** და **სო ტივანი**, აგრეთვე მექსიკელი **გოტო ჩაპა** თანადროული რომანის ფუძემდებლად ითვლებიან. ყოველი მათი ნაწარმოები 9 876 543 210 სიტყვისაგან შედგება და შიგ სულ ორჯერ არის გამოყენებული აზნაცი: ერთხელ — დასაწყისში, მეორედ — საფინალო ფრაზის წინ.

განცალკევებით დგანან ჩინელი პოეტები **ცინ ცა-ძი**, **იო სელიანი**, **ტან-უ ცი-ძი**, რადგან, როგორც ცნობილია, დღევანდელ მსოფლიოში რითმის მათ გარდა აღარავინ ნმარობს. ამასთან დაკავშირებით თურმე მათ წინააღმდეგ გამანადგურებელი სიტყვით გამოსვლას აპირებს მათივე თანამემამულე კრიტიკოსი **უ გი-რინი**, ავტორი ეპოქალური წიგნისა „სემანტოკურად ტიპოლოგიური ნოვაციები“.

კორეიდან ჩამოვლენ **აპა ლი ანი**, **ბარუ ჩა ვა**, **ჩიმო ვა ნი**. მათი შემოქმედების შესახებ ლიტერატურულ წრეებში დღესდღეობით არაფერი არ არის ცნობილი გარდა იმისა, რომ სამივეს მოუთხოვია მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად არჩევა, თუმცა მწერალთა კავშირის წევრებად ჯერ არ ყოფილან მიღებული.

იაპონელები **ინიპაპა ცირაშუა** და **მაცუნაპა კამაბიძე** იმედოვნებენ, რომ სულ მალე რომელიმე ლიტერატურულ ორგანოში ხელმძღვანელ თანამდებობაზე დაინიშნებიან. ორივე სრულყოფილად ფლობს კარატეს ლეონებს, ასე რომ, ვფიქრობთ, მათი იმედები უნდა გამართლდეს.

მოზამბიკი წარმოდგენილია სამი მწერლით. ესენი არიან: **ბუჩუ კური**, **ჩაბუ ნაპა** და **შაპა ნაური**.

ერაყელი პოეტი **ალ-ხალასანი** ტყემლის ყვავილთა თემის ნატიფი დამუშავებით ყოფილა განთქმული.

დასასრულ, ერთი გვარის მქონე თხუთმეტი ალყირელი ბედუინი **ა რაბუელი**, რომელთა შემოქმედებაც ურბანისტული მოტივების მოკარბებით გამოირჩევა. ერთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება, ძვირფასო სტუმრებო!

67-ბ. შავლაქე-67

დაბადებიდან 67 წელი შეუსრულდა გ. შავლაქეს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ იუბილარს მისალმება გაუგზავნა:

„მართალია, თქვენი დაბადების თარიღი თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო ჯერჯერობით ზუსტად დადგენილი არ არის (დაბადების მოწმობაში 1916 გიწერიათ, მოწმობის ასლი — 1918, პასპორტში — 1920 და სამხედრო ბილეთში — 1921), მაგრამ ეს ხელს როდი გვიშლის კიდევ ერთხელ და მრავალგზის სიტყვა-სიტყვით გაგიმეოროთ ის მილოცვა, თქვენი დაბადების ორმოცდაათი წლისთავის ზეიმზე რომ გიძღვენთ.“

თქვენ ბრძანდებით სხვადასხვა ღონისძიებებზე წაითხული ოცდაშვიდი დაუბეჭდავი ლექსისა და ამდენივე გამოუქვეყნებელი პოემის ავტორი. აქტიურად მონაწილეობთ რესპუბლიკურ (დასურულ) და საქალაქო (ღია) კონკურსებში და ერთხელ, საკონკურსო მასალის სიმცირის გამო, კინაღამ წამახალისებელი პრემიაც კი მოგენიჭათ.

წლების მანძილზე მწვევით ჩიბუნს და ამასთან ერთად, საკუთარი შემოქმედების ზეპირ, დაუღალავ პროპაგანდას.


წმინდა პროფესიული ლიტერატურული საქმიანობის პარალელურად დღემდე მოასწარით შვიდასამდე ხელმოწერილი განცხადების შექმნა. მათ შორის, ოთხასამდე — ბინის გაფართოებისა და ორასამდე — მსუბუქი ავტომანქანის გამოყოფის თაობაზე.

თქვენი შემოქმედების თაყვანისმცემლები თითქმის არ არსებობენ, მაგრამ თქვენი დამსახურება სხვისი შემოქმედების თაყვანისმცემლებმაც კარგად იცინა“.

„ნიანგის“ რედაქცია ჯერჯერობით არ უერთდება ამ მილოცვას, მაგრამ ყველაფერი იქით მიდის, რომ მალე შეუერთდება.“

არაჩვევია

ინფორმაცია შეკრება კალამ ბურმა



უსიტყვოდ

შეიქმნა წვის პროლუქტები

აპტორი — ჩემი ეს ახალი ლექსები ნამდვილი შემოქმედებითი წვის პროლუქტია!
რიქლაქტორი — შეიძლება, მაგრამ ეგ ბუერს არაფერს ნიშნავს, რადგან წყალიც სომ წვის პროლუქტია?!

პოეტის სმა

— ჩემი მეგობარი პოეტი შრომას უმღერის!
— რაღაც არ გამოიგონა მისი სმა მამითაღებში.. წამომწყებია, თუ პანს ეუბნება?!

აკოლონ გასილიაი



უსიტყვოდ

უკვარცხლებიო ძეგლი

„რომელიღაც დიდი მწერლის ძეგლს დადგამენ აქო!“ — თქვა ვარლამმა. მერე დიდხანს ის მწერალი აქო!.. ბომბლაცემულს დაამგავსეს ველი — მწვანე ერთ ღროს!.. გადათხარეს, გადმოთხარეს, ზედ ასხამდნენ ბეტონს!..

რომ გვეგონა, საქმეს ბევრი აღარ უკლდა, არა, — გაქრნენ მუშებ-ინჟინერიან-ბუღალღოერიანიანდ!.. დღეს იქ, სადაც წყალი ჩადგა, შრე აივსო ეკლით, ბაუაუები დგამენ ღრამას—„უკვარცხლებიო ძეგლი“.

ივარი თაბაბარი (ქიათურის რაიონი)



უსიტყვოდ



ანდერძალი..

საუროლომომ ჩვეულებისკობი

ეროვნული ზოგადი განათების

ერთი პოეტს: ჰკითხეს: — მწერლების ყრილობაზე რა იქნება? — რა იქნება და... მიწამყერილობა, გულშიდანგაყრილობა, გულშემოყრილობა, ერთმანეთთან გაყრილობა, პრეზიდენტიდან გამოყრილობა და ასე შემდეგო, — უპასუხა პოეტმა.

ერთი პროზაიკოსს საკუთარ რომანზე აზრი ჰკითხეს. პროზაიკოსს შერცხვა — წაკითხული არ ჰქონდა!..

ერთი პოეტს მოძმე რესპუბლიკიდან ჩამოსულმა კოლეგამ ჰკითხა: — თქვენთან სორცის საქმე როგორ არისო? — კარგად, ზოგა ზოგებს ახალი სორცი არ გვაკლია, ერთმანეთს ვჭამთო! — უპასუხა პოეტმა.

არშემდგარ პოეტსა და პროზაიკოსს რა ჰქვიაო? — ჰკითხეს ერთ პოეტს. კრიტიკოსი ჰქვიაო! — უპასუხა პოეტმა.

ერთი პოეტს ჰკითხეს, რა აზრისა ხართ ვერლიბრზოო? — ეკვილიბრისტების უფრო მემის, ვიდრე ვერლიბრისტებისო! — უპასუხა პოეტმა.

მწერლის ქება კიტრად ღირს, კიტრი კი შეიდი მანუთი ღირს ბაზარზოო! — გაიფიქრა თამადამ და სულ „გენიოსი“ უძახა ერთ უნიჭო მწერალს.

ლიბერატორული უნამუსობა რა არისო? — ჰკითხეს ერთი ვაზუთის რედაქტორს.

— რა და, მწერალი საკუთარ თავს რომ ინტერვიუს ჩამოართმევსო! — უპასუხა რედაქტორმა.

თვეში ცხრაშეტი კვირა აქვს, ცხრა პარასკევი — კვირაში! ათასად კაცი დაფხანდა, ასი ათასად — ტირაჟი!..

ამის, იმის, იმის, ამის, იმის, იმის წვერია, მაგრამ ერთი ნაღდი რამე ჯერ არ დაუწერია!.. მასწენდებ: „თავო ჩემო, ბუდი არ გიწერია!“

ერთი შარიანი მწერალი რჩევას იძლევა:

გასოვდეთ, არ დაგავიწყდეთ ყრილობაზე, არჩვენებისას რჩეულ მეგობართა წაშლა! წაშლა გულს უოხებს წამშლელს, უფრო კარგ ხასიათზე აყენებს და სამომავლოდ განაწყობს!

ჭუპა ვერალი

მოგახსენებთ, მე როგორც მწერალი, ვალდებული ვარ შევქმნა ლიტერატურულ გმირთა სახეები, დადებითი იქნება ეს თუ უარყოფითი. მე შეძლებისდაგვარად ვხატავ მათ. ვგონებ, მკითხველიც არ უნდა მრჩებოდეს უმეცროდ. ყოველ შემთხვევაში, ამის დასტურია ის მხურვალე გამოხმაურება, რაც ჩემი ყოველი ახალი ნაწარმოების გამოქვეყნებას მოჰყვება.

მრავალფეროვანია ჩემი ლიტერატურული გმირების გალერეა. მე გამოყვანილი მყავს განსხვავებული ასაკისა თუ პროფესიის ადამიანები, რომლებიც ჩვენს ირგვლივ არიან, ჩვენს გვერდით ტრიალებენ.

დიდი თანაგრძნობით ვეპყრობი ყოველ მათგანს. ვინ იცის, რამდენი დამე მითვია ამა თუ იმ გმირის სახის, ბუნების, ხასიათის, თუნდაც ერთი უბრალო დამახასიათებელი ნიშნის გამოსაძერწად.

მე ყოველთვის ვცდილობ შევქმნა დადებითი გმირის სახე. მაშინ ხომ, როგორც მწერალი, ლაღად და თავისუფლად ვგრძნობ თავს! მაშინ ხომ უფრო შლის ჩემი მხატვრული ფანტაზია ფრთებს... მაგრამ, სამწუხაროდ, ხდება ხოლმე, რომ ნაწარმოები უშამდეც არა მაქვს მიყვანილი და ჩემი დადებითი გმირი, რომლის გამოძერწვას ამდენი შრომა და ენერჯია შევალე, უარყოფით პერსონაჟად იქცევა!..

გენანება ამდენი გარჯა, ამდენი უძილო ღამეები!..

ერთი ლიტერატურული გმირი მყავდა. შეიძლება ითქვას, ჩემს ხელში დაიბადა, მიყვარდა, ვუყვარდი, თავს ვიკვებოდი. მიხაროდა, რომ ასეთი თანამედროვე დადებითი გმირის სახე შევქმენი. თუ სადმე კარგი კონტექსტი იყო, იქ ვავაჩენდი. რა ფრაზებს, რა ხატოვან თქმებს, რა სიბრძნის არ ვაფრქვევინებდი ბავთვან!.. ყველა-სათვის სასურველ პიროვნებად დავხატე! მართლაც კარგი გამოვიდა, ხალხმაც ადი-არა, შეიყვარა! უმართავენ შეხვედრებს, სალამოებს!.. ვინ არ მირეკავდა, საიდან არ მწერდნენ, — უფრო დაწვრილებით ცნობებს ითხოვდნენ მასზე. მეც, შეძლებისდაგვარად, ვაკმაყოფილებდი მკითხველთა თხოვნას. ბედნიერად ვგრძნობდი თავს ჩემი ნახელავით!..

უმალესი სასწავლებელი წარჩინებით დავამთარებინე. ცხადია, ეს არ გამოიჭირებოდა, მისი რამდენიმე მასწავლებელი ჩემი პერსონაჟი იყო!.. მოგაწუხებ ერთ-ერთ შრომით კოლექტივში. აქ მან თავი გამოიჩინა, როგორც მუყაითმა, ენერჯიულმა, პრინციპულმა და პატიოსანმა ადამიანმა. კოლეგებსა და თანამშრომლებს შორისაც მალე მოიხიჭა დამსახურებული ავტორიტეტი.

ერთ მშვენიერ ღღეს მე ის დაეწინაურებდა, დაეწინაურებ! მომიცა საშუალება და დავნიშნე ერთი დიდი დაწესებულების ხელმძღვანელად. მგონი, ყველა ავტორი ასე მოიქცეოდა, თუ ის მართლა ავტორია და მოპარული არა აქვს ნაწარმოები!

— აბა, შენ იცი, არ შემარცხვინო! — შევძახე კაბინეტში შემავალს და გზა დაველოცე!..

მე, მწერალს, პერსონაჟების მეტი რა მყავდა დასახატი? მართო ერთ პერსონაჟს ხომ არ შევალევი სიცოცხლეს? რაკი ერთი გმირი გამოიყვანე ასპარეზზე და გზა დაველოცე, თავი ვალმობილად ჩავთვალე როგორც მის, ისე მკითხველისა და ღვთის წინაშე და ახალი გმირის სახის შექმნას შევუდექი იმავე ნაწარმოებში.

ვისაც თუნდაც ერთხელ მაინც ცალი თვალით შეუქურტია მწერლის სამზარეულოში, მან კარგად იცის, თუ რა შრომატევადი სამუშაო უძღვის წინ ნაწარმოებში

**დამატებითი ცნობები
ზოგიერთი ჩემი
ლიტერატურული
გმირის შესახებ**

წერილი პირველი



მეორეხარისხოვანი პერსონაჟის შემოყვანასაც კი!..

ლიახ, დაიწყო მუშაობა ახალ პერსონაჟზე. კარგა ხანს ვეძებე იგი. როცა მოვიხელე, შევუდექი მისი გარეგნობის აღწერასა და შინაგანი ბუნების გახსნას. მთლიანად შემიბყრო ახალმა გმირმა. თავის სამყაროში გადამასახლა, გამომიშვა ყველაფერს. საკუთარი თავიც დამავიწყა.

ვატყობდი, აქაც ფრიად დადებითი გმირის სახე იკვეთებოდა, რაც მიორაკცებდა ძალას და წერის სტიმულს მაძლევდა. ერთი სული მქონდა, როდის გაეახარებდი ჩემი ახალი დადებითი გმირის გამოჩენის მოლოდინით დამუხტულ მკითხველს.

და, აი, ამ დროს მოხდა მოულოდნელი რამ: საღდაც ვიღაცა ქრთამის აღებისას დაიჭირეს. დანაშაულებრივმა კვალმა ორგანოს მუშაები ჩემს გმირთან მიიყვანა!..

თურმე რა გეწერება და გეხატება!.. სანამ მე ახალი პერსონაჟის სახეს ვძერწავდი მხატვრული ოსტატობით, ჩემი სანაქებო დადებითი გმირი ქრთამის გახურებულ ალემ-მიცემაში ყოფილა, მექრთამეთა ჯაჭვის ერთ-ერთი მაგარი რგოლი გამხდარა!.. ამავე დროს ეს ჩემი გადაგმირებული პერსონაჟი მთლად გამოუხრავს კერძომესაკუთრული ტენდენციის ჭიას!.. რა სასახლეები აუშენებია, რა აგარაკები!.. გამოძიებლების მეტი რა მყავდა ნაწარმოებში? მოგხსენებთ, დღეს ყველა იურისტობაზე იკლავს თავს!.. და დაესივნენ, რაეი არ გამოუჩხრიკეს, რა არ გამოუთქეს!..

ალბათ, თქვენც გახსოვთ, მკითხველო: ჩემს გმირს ცოლი რომ შევერთე, ახალი ბინის ორდერიც მივეცი. რა შრომა დამჭირდა იმისათვის, რომ მას საკუთარი ჭერი ჰქონოდა და თავისი ნიჭი და ენერჯია სასიკეთო სახალხო საქმისთვის შეეღია! ფული, ოქრო და ვერცხლი რომ მისთვის ბედნიერების მომტანი ყოფილიყო, განა მე ვინმე დამასწრებდა? ან, მწერალს, ვინ რას დამიშლიდა?! — ჩავახრჩობდი სიმდიდრეში, მაგრამ მე ვცდილობდი, ჩემი გმირი ყოფილიყო ზნეობრივად სპეტაკი, მშრომელი, უკეთესი პერსონისათვის მეზობლო ადამიანი და არა საკუთარ ნაუჭუჭში ჩაკეტილი, ეშმაკს აყოლილი პიროვნება!..

რა გქნა, ღმერთო! მოწმე, არაფერი დამიკლია მისთვის!..

როგორც მოგახსენეთ, გამოძიებლების მეტი რა მყავს გამოყვანილი ნაწარმოებში და ახლა ისინი იკვლევენ მის საქმეს!.. მე კი, სხვა რა უნდა ვაკეთო, ახალი გმირების სახის შექმნაზე ვმუშაობ!..

ნოვადი ბართია



ლექსს რომ ვაქუხებ თერგის ტალღებად, სწუხან წვრილ-წვრილი კალმოსანები: შურთ ჩემი ნიჭი... და ელანდებთ დღე ჩემი წასვლის, გამოსალმების!..

შურთ ჩემი ნიჭი, ჩემი უნარი, გამობრწყინება ჩემი ტალანტის; ჩემს ნაწერს ბევრი ხვდება მღუმარი, გულში კი... გულში ყველა დამნატირის!

შურთ ჩემი ნიჭი... მახეს მიგებენ, მახეს ათასგვარს, ნაირნაირებს; სახლებს იგებენ, ძეგლებს იგებენ, მე კი დამჩაგრეს, გამინაპირეს!

შოთა რუსთველსაც ჩაგრავენდენ ასე, გულზე სკდებოდნენ მისი გენიით, შორს გადახვეწეს ნაღველით სავსე, მოკვდა ყარიბი, მოკვდა ღვენილი!..

გურამიშვილი! — აფსუსს, რა კაცი, რა შემოქმედი, მართლაც ვეება!.. ბანდა მძარცველთა, გამტაცებელთა თავზე დაასხეს მოშურნებმა!

ბარათაშვილიც შეიკლეს ხელში, სივრცე დაუხშეს არწივს ფრთავაშლილს, ასვეს ლენციოვა საკუთარ პეშვით და ამოხადეს სული განჯაში!..

მეც ტატოს ვგავარ, ვარ უნუგეშოდ, აგონია მწვავს, მწვავს აგონია!.. ვინც ადრე მოკვდა, წევს დიდუბეში!.. ბედი ამაშიც არა მქონია!

ნოდარ შაბანაძე



განცხადება

გთხოვთ მწერალთა კავშირის ძასალების საწყობიდან განვადებით გამომტანონთ ოცდაათი ქალური და ორმოცდაათი ვაჟური რითმა, აგრეთვე ოცამდე მეტაფორა, ამდენივე წერტილი და მძიმე, რაც შესაჭიროება ლექსის დასაწერად!

3. გურული



საინტელექტუალური მხარდაჭერა



გრაფომანი

სად არ მოიწყო შესვედრა,
ოჯახიც კარგად მოიწყო!..
მისი ლექსების წყლისაგან
ლამის უდაბნო მოირწყოს!..

არ გამოუვა!..

ორბის უნდა კლანჭები,
კრავს ვერ ასწევს ნიბლია!
ლექსი არ გამოუვა
უგულოს და წირაპლიანს!

ეპიტაფია

წყალმა წაიღო მათი თაობა,
მათი ფონისი და ბოთაობა!..

ინტრიგანს

ეგ სადაური წესია, —
მიოხარი, ამხანაგო, —
ჩემი ცხოვრება აწეწო
და შენი დაალაგო?!

ცხოვრების გაკვეთილი

ზოგმა ცნობილმა „მოღვაწემ“
გამოიჩინა კვაჭობა! —
საწყლებს, ნაკლებად ცნობილებს,
სწორედ ამითი გვაჯობა!

სამაგიეროდ

იცლება ხონჩა, იცლება კათხა
სამაგიეროდ იცლება კუჭი!..
ლექსის ადგილი დარჩება სადღა?! —
დუღს, მიგრიალებს ცხოვრება ფუჭი!..

ზოგიერთი მოკარირისტო მშარლის ვედრება

დედაშვილობამ, მეტს არ გთხოვ,
ნუ გამიმეტებ აგრეთ, —
სადმე, მთაწმინდის მასლობლად,
შენს კალთას მიმამაგრეთ!

ხარბს

წიგნი გამოეც იმხელა,
იოლად ვერც კი გადამლი!..
ტირაფიც გვარიანია,
შენ გენაცვალე მადაში!

მზადება

— რა დღეშია ეს უნიჭო,
რას ფაფხურობს, ნეტავ, ასე?
— ლექსებს არჩევს, ეჩქარება
მკითხველებთან შესვედრაზე!

არ მჯერა!..

ნემსის ყუნწშიაც რომ გაძვრეს,
ელვისაც შეძლოს დაჭერა, —
მოსერებულეი პოეტის,
რა დაგიმალეთ არ მჯერა!
ყირაზე დადგეს, ირბინოს,
ერთხელ კი არა, ასჯერაც,
თავით მარილი დანაყოს, —
რა ვქნა, არა და არ მჯერა!
სხვა დროს არ ვიცი, რას ვიტყვი,
ამ აზრისა ვარ ამჯერად!

დააკვირდი!..

თუ გიყვარდე, მოიცალე,
დააკვირდი, ასახე,
როგორ ეფერება ბრიყვი
თავისსავე გვარ-სახელს!..
პირში აღვირამოსადებს,
დაბადებულს ასვარად,
ცარიელი თავი მისი
ასე რამ შეაყვარა?!



მანიას

ფუყევე, რაგინდ გაიფუყო,
ჩაცმულიც ხარ შიშველი!
სხვა არა და ეს კი ვიცი —
ლექსთან არ მიიშვები!

გეკითხები, არც ის მინდა, —
გკადრო სიტყვა უშვერი, —
რა აკეთე, ან სამშობლოს
ასე რით დაუშვერი?!

შენ ისა ხარ, ვის სინდისზე
თვალი დაუსუჭია!..
რისი გული, რისი ღვიძლი?! —
შენი ღერძი კუჭია!

მომხევაელი

ვისაც კეთილდღეობისთვის
ამ ზომამდე სცალა,
ვერც ლექსს დაწერს, ვერც მოთხრობას,
რომც უნდოდეს ძალიან!

გაფრთხილება

ნურაფერში ნუ ენდობი ნიკანდროს,
ყველაფერი შეუძლია იკადროს!
გეფერება, დანას გიყრის იმავ დროს!..

ნ.ბ. შ. კუჭიანსი



უსიტყვოდ

კაკა დრონი, დრონი!



ქართული
ლიტერატურა

შოთა რუსთაველი რვა საუკუნე ელოდა თავის იუბილეს!.. რაფიელ ერისთავი ხანში იყო შესული, როცა ილია ჭავჭავაძის იუბილეს გამართვა გადაწყვიტეს. ილიამ შორს დაიჭირა — ჯერ მსცოვანი რაფიელის იუბილეს არ გადაგვიხდია, იმას მივხედოთ! ერთხელაც თურმე ექვთიმეს შესთავაზეს, თაყაიშვილს ახლა ექვთიმემ გაასავსავა ხელები — აგერ არის ილია ჭავჭავაძე და, თუ ეკუთვნის, იმას ეკუთვნის, იუბილეო!..

შოთა, რაფიელი, ილია, ექვთიმე!..
შემდეგ?
შემდეგ, რაც მოხდა თქვენც კარგად იცით. ახლა იუბილეების ბუზია, ნამდვილი ბუზი! გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს იუბილეებიც და იუბილარებიც!

დღეს საყოველთაო უნიფიკაციის ეპოქაა, საყოველთაო სტანდარტიზაციისა. მწერალთა კავშირსაც მობურღა თითლიბაზობა ამდენ იუბილართან და სასოწარკვეთილებას მიეცა!.. მერე ვიღაც ჭკვიანმა კაცმა გამოიგონა „**მილოცვის**“ ერთიანი ფორმა. ეს ნამდვილი რევოლუცია იყო. ო, რა შევებით ამოიხსნებოდა მიმოცველებმა!

გთავაზობთ ამ ფორმას (სხვათა შორის, ამ ფორმის შემოღების იუბილეს არ იქნებოდა ურიგო საქმე!). ძვირფასო მწერლებო, აწინდლებო და მომავლებო, სვალინდელი იუბილარებო, შეავსეთ საკუთარი ხელით თანდართული ფორმა და გააგზავნეთ მწერალთა კავშირში, ამით დიდ სამსახურს გაუწევთ ჯერ თქვენს თავს, მერე — გამგებებს და შემდეგ — მკითხველს (ისევ თქვენს თავს და იმ ორატორს, რომელიც წაიკითხავს მას თქვენს იუბილეს! დამიჯერეთ, სხვა აღარავინ კითხულობს ამგვარ მილოცვებს!).

მაშ, დავიწყეთ!
ჩვენი მილოცვა (საერთო სათაურია).
ანოტაცია იმის თაობაზე, რომ მკვანს და მკვანს შეუსრულდა ამდენი და ამდენი წელი (წერს რედაქცია და იწყობა თეთრი პეტით).
შემდეგ მოდის ძირითადი ტექსტი (იწყობა შავი პეტით).



ლოპე დე ვეგას მილიონები

მართ-მართი ყველაზე პროდუქტიული მწერალი, ვისაც კი უცხოვრია ამ დუნიაზე, იყო ესპანელი ლოპე დე ვეგა. მისი ათას რვაასივე პიესა დაწერილია ლექსად. ერთ-ერთი მეცნიერის გაანგარიშებით (რომელსაც, როგორც ჩანს, თავისუფალი დრო უხვად ჰქონდა!). ლოპე დე ვეგას შემოქმედებებამ შეადგინა 21 816 000 სტრიქონი.

რას გადავრჩენილვართ. ლოპე დე ვეგას რომ სტრიქონების ჩვენნიარი დამტვრევა სცოდნოდა...

როგორ გავზარდოთ წველადობა

ნიმთან საქმიანობის უნარის შეერთების პიონერები იყვნენ ფრანგი მწერლები. მათ გამოიგონეს რომანის ბეჭდვა გავრცელებით. ისინი ორჯერ წველიდნენ ძროხას: რომანი ჭერ გაზეთში იბეჭდებოდა, ხოლო შემდეგ წიგნად აქინძულს სთავაზობდნენ მკითხველებს.

მოფრანგენი ჩვენშიაც მომრავლდნენ... რას იტყვით?!

ტალანტების შესახებ

ცნება „ტალანტი“ სამ რამეს გამოხატავდა: წონის ერთეული, ფულის ერთეული და ნიჭიერებას. ბოლო ხანს ძალიან მომრავლდნენ პირველი ორი სახის ტალანტები — მსუქნები და მქონეებელი. აი, შესამეში კი, ცოტა არ იყოს, გვიჭირს!

ძვირფასო (თქვენი სახელი)!
საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად (გულმხურვალედ) მოგესალმებიან და გილოცავენ დაბადების წლისთავს (თქვენი სახელი, ზედმეტი სახელი ფრჩხილებში, მაშის სახელი გვარი).

აი, უკვე წელია, რაც თქვენ სამწერლო ასპარეზზე გამოსვლით. ამ დროის მანძილზე თქვენ შექმენით (ნამოთვალეთ!).
თარგმნეთ (ნამოთვალეთ!).
თქვენი ნაწარმოებები თარგმნილია ენაზე, (ნამოთვალეთ!).
კერძოდ (ნამოთვალეთ!).
ბევრს მუშაობთ (რაზე?).



წლებს მანძილზე ეწოდით (აქტიურ, დიდ, სასარგებლო) საზოგადოებრივ საქმიანობას. სხვადასხვა დროს მუშაობდით (ნამოთვალეთ) სად, რა თანამდებობაზე.

კიდევ ერთხელ გულითადად (გულმხურვალედ) მოგილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს (დღევანდელს), ჯანმრთელობას (ბედნიერებას) და ახალ შემოქმედებით მიღწევებს (გამარჯვებებს, წარმატებებს!).

ჩვენი მხრივ გირჩევთ ოპერატიულობას კონვენტის გაგზავნაში, ამასთან სასურველია იგი გაიგზავნოს „და ზღვევი თ“!

დანარჩენი ყველაფერი თავისი დადგენილი წესითა და რიგით წავა!

გისურვებთ წარმატებას!.. და მაინც — მწერალი და შტამპი?!

ზოგი კვლი, ზოგიც ახალი

ცნობისათვის! ემერსონს უთქვამს — მარტოოდნ ტალანტი მწერალს ვერ შექმნის, ადამიანიც უნდა იდგეს წიგნის უკანო!

გულუბრძვილო ლინდბერგი

ერთმა ამერიკულმა გამომცემლობამ 1927 წელს შესთავაზა ჩარლზ ლინდბერგს ორი მილიონი დოლარი, თუ ის აღწერდა, რაც თავს გადახდა ატლანტის ოკეანეზე ძირსდაუშვებელი გადაფრენისას. წიგნში ორმოცდაათი ათასი სიტყვა უნდა ყოფილიყო. გამოდის, რომ ყოველ სიტყვაში მას ორმოც დოლარს სთავაზობდნენ. საქმოსანმა ლიტერატურებმა პირი დაადგეს, როცა ლინდბერგმა უარყო ეს წინადადება — მე მარტო ფრენა ვიცი, ლიტერატურაში არაფერი გამეგებია!
ჰაი გიდი, ლინდბერგ!

ინკვიზიტორები და ჩვენი

წინათ ინკვიზიტორები, ადამიანის გარდა, წიგნებსაც წვადნენ!..

ახლა, გულითაც რომ მოინდომო, ზოგ წიგნს ვერ დაწვავ, იმდენი წყალია შიგ!

თუ საბაზმსაც დავუშვებდით!..

აღრე თურმე ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ავტორს აჭმევდნენ თავისსავე უვარგის წიგნს!.. ეს სასჯელი ახლაც შეიძლება შემოგვედოს, მით უმეტეს, რომ ჩვენ მშვენიერი საკაზმიც გვაქვს!..

დონ პედრო

ილუსტრაციები მ. აბაშიძისა



უსიტყვოდ

„ბიანაშვილს ნიკასო არ ნაყვარება პიკასო!“ — გვარწმუნებს ერთი ფუნაგორია! — ასე ეძახდნენ ოცდაათიანი და ორმოციანი წლების მწერლები — განსაკუთრებით შურნალ „ჩვენი თაობის“ გარშემო შემოკრებილნი — ამხანაგთა სათრეველ მცირე სახუმარო ლექსს. ნიკა აგიაშვილის — ჩვენი მწერლობის ამ ერთ-ერთი უპრეტენზიო მემათიანის — სკივრში ბევრი მისი თანამედროვის დიმილი „ინახება“ — იუმორი ხომ ამ მრავალმხრივი მოღვაწის გრძელი და შინაარსიანი ცხოვრების კეთილი თანამგზავრი იყო. „ნიანგი“ ამ სკივრის ერთი ყველაზე კანონიერი მემკვიდრეა. ბუნებრივია, თუ ამ სკივრს თავი კიდევ ერთხელ სწორედ ქართულ მწერალთა ფორუმის დროს ავხადეთ!

უხარის საუბარება

ერთმა ცნობილმა მწერალმა მოხსენებისას სიტყვა ძალზე გააჰიანურა, აუდიტორია ყურს აღარ უგდებდა და ხმაურობდა. კრების თავმჯდომარემ, მიხეილ ჯავახიშვილმა, მკაცრად გადმოხედა დამსწრეთ და გადმოსძახა:

— დაწყნარდით, თორემ სიტყვას გავუგრძელებო!
კრინტი აღარავის დაუძრავს.

დემნას პალტო

მწერალთა კავშირში კრებაზე დემნა შენგელაია სიტყვას ამბობდა. სწორედ ამ დროს გარდერობიდან მას პალტო მოჰპარეს. კავშირის თავმჯდომარემ გიორგი ლეონიძემ სახლიდან თავისი მოკლე ქურთუკი მოუტანა და დაჰპირდა: მწერალთა კავშირის ხარჯზე არტელში ახალ პალტოს შეგიკრავთ, მანამდე ეს ატარეო! ის ქურთუკი დემნას კოჭებამდე სწავდებოდა. ამის მუნასიბად გიორგი შატბერაშვილმა გამოთქვა:


სანამ დემნას იმ გრძელ პალტოს
შეუკერავს არტელია,
დემნა გოგლას პოლუშუბკით
პოლუპრედსედატელია!..

ბეხარიონ შლენტი გურიში

ბეხარიონ შლენტი გურიში იყო. გურულებს ძალიან მოეწონათ მისი მოხსენება. ლაპარაკობდა, რასაკვირველია, ზეპირად. ციტატებს, ლექსთა სტრიქონებს შეუცლომლად და გამართულად გადმოსცემდა. ერთმა დამსწრეთაგანმა წამოიძახა:

— ნუნავ, რა ყოფილა აი კაცი, თლათ არ გადამბრია?! მაგას, ალბათ, ქალღმერთი დაწერილი მოხსენება აქვს გადაყლაპული და აგერ ჩე უბნობსო!





თანამედროვე ზღაპარი

ჩვენი მოგზაურობა ძველთაძველი ზღაპრით დაიწყო: ჩემმა პოეტურმა საცოლემ ელიკომ წასვლა ინატრა ჰელიკონს — მუზეუმებისა და აპოლონის ადგილსამყოფელს. ეწადა აპოლონის ტაძრის ღვთაებრივ თაღქვეშ ჩემთან დაეწერა ჯვარი, ზიარებოდა პოეზიას მუზეუმის ქორალით, ლექსთა საგალობლებით.

ზღაპრულ ფაქტონში პოეზიის მერნები გვება მე და ელიკოს და დიდი სისწრაფით მივექანებოდით ჰელიკონს.

თითქმის მივფრინავდით, მაგრამ მღვერის შიში მაინც გვექონდა, შიში გვახედებდა უკან.

— უიმი, მამა! — იკვილა ანაზღად ელიკომ, როცა ბუზისხელა შავი წერტილი გამოჩნდა ნისლიან ჰორიზონტთან.

ვიცოდით, მამამისი ოქროსუფებიან ძვირფასთვალემა, კუდგამონასკველ ღორზე იჯდა და ყოველი წუთით, ყოველი წამით საგარძნობლად ამოკლებდა ჩვენს შუა მანძილს.

მერნებს შორისდებულები დაეყარე და ლოგიკური მახვილები დეზებივით გაძგერე ფერდებში!.. გაფრინდნენ.

— მამაჩემის ღორს მილიონი ცხენის ძალა აქვს! — დაიკენესა ელიკომ და ნაღვლიანი თვალებით გამოეთხოვა ჰელიკონს, თვალსაწიერზე რომ მოჩანდა.

— ვითომ? — დავეჭვი მე.

— სულ ტყიცინა ასიგნაციებით არის ყელამდე მოყრილი და ას მეტრს გადის წაშში!.. ყულაბად გვედგა და მაშინ გასუქდა, ყოველგვარი დაბრკოლების მოქონვა შეუძლია! — ელიკომ წრიპინი ამოუშვა.

რალაცა უნდა მელონა: მღვეარი ბუზანკალივით ჩანდა უკვე.

— გადააგდე კრიტიკოსის წიგნი! — ვუყვირე საცოლეს და ნათქვამი კიდევ ერთხელ ავწონ-დავწონე, — სხვა თუ არაფერი, მასობრივი ტირაჟი მაინც გადაგვარჩენს!

ელიკომ ხელუკუღმა მოისროლა წიგნი და ორივემ თვალები დავხუჭეთ.

რომ გავახილეთ, ჩვენს უკან მასიური მთაგრეხილი იყო აღმართული.

— მაგარი წიგნი კი შევარჩიეთ, ყველაფერი თავდაყირა დაყენებული — გორაკს მწვერვალი ჰქვია, ხეცს — უფსკრული, მწვერვალს — პლატო!.. მაგებში ფილოსოფოსი პლატონიც ვერ გაერკვევა კარგახანს, არამცთუ მამა!.. სულ აერევა თავზა! — ელიკომ იმედის თვალთ გაჰხედა ჰელიკონს.

ამის თქმა იყო და, ღოროსანი მხედარიც გამოჩნდა [ქაჩვარად] მორიელისხელა მოთოხარკობდა.

— სამი ნომერი ქალაქი იყო და იმითმ მოიქონა-სხე სიკლად, — აღმომხდა გულდაწყვეტით, — გადააგდე, აი, ეს სქელტანინი და სქელყლიანი ტომი! — ვუყვირე საცოლეს.

ელიკომ ერთგვარი დანანებით ისროლა წიგნი და ჩვენს უკან ზღვა გაჩნდა!..

— ეუპ, სულ წყალი ყოფილა! — აღმომხდა ელიკოს. ღორმა წყალი დახვრიბა და კვლავ გამოგვენთო, ამჯერად ნატურალური ბურგავისხელა მოჩანდა.

თუ დაგვიჭირა, კერძომესაკუთრული ჯაჭვით დაგვაბამს მამა მაგ ღორის გვერდით! — ტიროდა ელიკო და უკვე სამუდამოდ ეთხოვებოდა ჰელიკონს.

ამის შემხედვარეს ცეცხლი მომედო და ჩემი უკანასკნელი იმედი — პოეტის წიგნი გადავადგე ფაქტონიდან.

იმისთანა სქელი და გაუფალი თეთრი ნისლი ჩამოწვა ჩვენს უკან, თვალში რომ თითი ეძგერებინა ვინმეს, ვერ დაინახავდი!..

— თეთრი ლექსები იყო და იმან ქნა!.. გადაგვარჩინა! — აღმომხდა შვებით და საცოლეს ახალა მოგვხეი ხელი.

მე და ელიკო ჰელიკონს გუახლოვდებოდით, რომ მერნებმა ჰინგინით შეგვახსენეს თავი — სწყუროდით.

— სად არის აქ ინოკრენა? — ჰკითხა შემოგებულ მუზეუმს ელიკომ და თან თვალი მთავლო ჰელიკონს.

— სადაც ტორს დაკრავს მერანი, ინოკრენა, ანუ ცხენის წყაროც იქ უნდა ამოჩუხჩუხდეს, მაგრამ ახლა გვალაა! — მიუგო მუშათაგან უპირველესმა.

მოწყურებული მერნები ტორებს ურტყამდნენ, მაგრამ წვეთი არსად ჩანდა.

— აფსუს, რამდენი წყალი გადავღვარეთ! — აღმომხდა ჩემს საცოლეს.

მამნი მე ჩემი ერთადერთი წიგნი გავწირე — მერნის ფლოქებთან დავდე.

მერანმა ტორი დაჰკრა და ინოკრენაც ამოჩუხჩუხდა!.. ბორჯომის ტაბის წყალი იყო, მაგრამ სხვა რამეებიც ერა პოეტური სინტაქსიდან.

— ხედავ?! მთლად მტკნარი წყალი არ ყოფილა! — მანუგეშა საცოლემ, — ურევია რალაცა მარცვლები.



ამ ქებამ ფრთები გამოამახა; ჩემს საცოლეს, რომელსაც ჩემსავე წამოზრდოდა ფრთები, ხელი მოკვიდე და აპოლონის ტაძრისკენ წავიყვანე.

მერე მე და ელიკო, როგორც მეფე-დედოფალი, ისე ვტოვებდით ჰელიკონს.

ელგუჯა მირაბივილი



ნახ. ზ. დენისპინა



უსიტყვოდ



ნიანგის "საქმე" მიქოცკევი

ქართული
ხალხური



60 წლის სილოვან ნარიმანიძე

ტანით მთების მეფე-მთას ჰგავს, კაცობაში ვერაფერს სძლევს ჩვენი „მერნის“ ერთ-ერთ თავკაცს, ბრგე ნარიმან მე რ ა ნ ი ძეს!


კაცივობის მზის სხივებში ბრწყინავს აწმყო სილოვანის! ცნობილია მისი ლექსი, მისი ღვაწლმოსილობანი!



60 წლის შოთა ლომსაძე

შოთაობ და ლომსაძეობ, მიწიერობ, ზეციერობ, ბრძენის ფარნით მოსაძებნო პოეტო და მეცნიერო!

მე კრებულებს შენთა ლექსთა და „მისეილ თამარაშვილს“, „სამცხე-ჯავახეთთან“ ერთად, ჩავიყოლებ საშარეში..



60 წლის ოთარ ჭელიძე

შენმა იუბილემ გული გამინათა! გმეუნის მაგნიტური არე ბალადების!

შენ სარ რიტმისა და რითმის ამირანშთა! შენს ლექსს, შენს კაცობას არ ელაღატების!



60 წლის ფრიდონ ხალვაშ

ოქროაჭარის ლავეარდში ფენიქსებრ ფრინავს ფრიდონი, მზით დაფერილი აქვს საზი, ფიქრით უნთია სტრიქონი..

სან მიწისაა, სან ცისა, მიწაზეც, ცაშიც ენდობი! სწამს მისი დიდი ღვაწლისა დიდ საქართველოს ერთობის!



60 წლის ნაფი ჯუსიითს

ნაფი, ჩემო ძმადნაფიციო, ყველა ჯილდოს ნაღდად ღირხო, ნაღდ მწერალს და ნაღდ მეცნიერს საქართველო კარგად გიცნობს!

შენი ამაგ-ღვაწლიც არის, ოსეთი რომ მარადისობს! გენაცვალე, გენით ოსო, შენ დიდება და დაუნის რტო!



50 წლის ბორის გურგულიძე

ბორის, მკვიდრო ედემის, დიდებულო აფხაზო, შენმა შემოქმედებამ სინარულით აღმავსო!


პოეტო და მთარგმნელო, პუბლიცისტო, ლიტმოდნევე, რაინდულად გაგველოს მთელი შენი სიცოცხლე!



50 წლის სუბა გაგუას

მოსკოვ-ქალაქში ქართული მწერლობის შენ სარ დესანანი! რუსულ აწკარედებს ურიგებ ფრანგს, იტალიელს, ესპანელს..

სანდასან (არაყოველთვის) წერ ლექსებს ჩასანუტებელს! სატირასა და ჰუმორში — ორივეში — გაქვს სუთები!



46 წლის რევაზ მიფვალიძე

ღიაყარი ვერაზია ნიჭის ელვის მოვლევით, ვერვინ გიზამს, რევაზ, ზიანს, მოურეველს მოურევი!

იწვევს ჯაჭურ რეაქციას ჯ ა ჭ ვ ი შენი ნოველების. გეკითხება რედაქცია: როდის მოგვენობელები?

მეგობრული შარტები მწერალ თენგიზ გოგოლაძისა

შენს შესახებ

შეგსვამთ?.. არ შეგსვამთ?.. —
საპითხავი, აი, ეს არის!

ამ ბოლო ხანებში შესანიშნავ ქალაქებზე დაბეჭდილი ბევრი სისულელე გამოიცა, მაგრამ, ჩვენდა სასიხარულოდ, ცუდ ქალაქებზე დაბეჭდილი ბევრი დიდებული წიგნიც გამოვიდა. მათ რიცხვშია ჩვენი საამაყო კლასიკოსის ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ერთტომეული. წიგნი იხსნება ვაჟას განთქმული ლექსით „ქეიფი“ („დამისხი, დამალევიწე!“). იმათ დასახმარებლად, ვისაც წიგნის თავში კი უყვარს ჩახედვა, მაგრამ მის ბოლომდე გადაფურცვლას გულს ვერ უღებს, „ნიანგის“ მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტს დიდი პოეტის ერთი წერილიდან; ამასთან, კომენტარები-

საგან თავს ვიკავებთ — ეს საქმე მკითხველისთვის მიგვინდვია!

„ბებერ ჩვეულებად მარტო ღვინო-არაყის ხმა და თამბაქოს წიგვა კი არ არი. ვინ იცის, რა დროიდან დღესამდე დიდინებს ქართველი კაცი ამ მისთვის უსაყვარლეს შაირსა:

კაცმა კაცი დაჰპატიჟოს,
დასვას და ანადიმოსა;
ყველა ტყუილად ჩაუვლის,
თუ კი არ ასმევს ღვინოსა-ო.

არა, სხვაც ბევრია ჩვენს ცხოვრებაში ფრიად მობერებული, წელში მოხრილი,

დაჩაჩანაკებული ჩვეულება, რომ ისევ ვებლაუქებით ორის ხელით და არ გვინდა ხელიდან გავუშვათ. ან რა დაშვდება ვითომ იმით, რომ სტუმარს ღვინო და არაყი არ დავაღვინოთ?! არაფერი. სრულიად არაფერი! პირიქით, დიდი სიკეთეც არი, როგორც მასპინძლისა, ისე სტუმრისათვის; გარდა იმისა, შედმეტ ხარჯსა და ტანჯვას ასცდება ორივე — გაიგებენ ერთიმეორის სიტყვას, შედეგობათ დარბაისლური მსჯელობა, დალაგებული მასლაათი. მთვრალი კაცი კი ნახევრად გიჟია; მაინც ეს სიგოფე გვიყვარს, თუმცა იმავე დროს კიდევაც გვეწუნება; სიმთვრალეს დაჩვეულს უყვარს მთვრალობა, უნდა — მთვრალი იყოს. დღევანდელი ცხოვრება შეებრძოლა ამ მავნებელს, დაბერებულს ჩვეულებას და ჰსურს იგი განდევნოს თავის მიდამოდან. ვნახოთ, ვინ დარჩება გამარჯვებული — აღმნიანი თუ მის მიერ შექმნილი ჩვეულებანი.

რა კარგი იქნებოდა, მკითხველო, იგივე ცხოვრება შაჰბრძოლებოდა დანარჩენს, თმაზე უმრავლეს, ბებერს აზრებს, ბებერს დახვსებულ ჩვეულებებს! ვინ იცის, როდის მოვესწრებით ამას?“

მოამზადა ირაპლი ზანტურიამ



— ამათ რატომ სძინავთ მაგიდაზე?
— გვიბრძანეს, რესტორნიდან მთვრალები არ გაუშვათო და ვაფხიზლებო!

ნახ. ჯ. ლოლუასი

ლაპარაკობდა, ლაპარაკობს, ილაპარაკებს..
 ბოლო არ უჩანს
 ზღაპრებს, მითებს, იგავ-არაკებს..
 ლაპარაკობდა, ლაპარაკობს, ილაპარაკებს..
 მძინავს თვალღიას, ხამუშ-ხამუშ მადვიძებს
 ტაში! —
 რა დრო გასულა! — ნეტა, ახლა მამყოფა
 ხასლში!



იუ მოჩიტუდი
ლაჩიკა

„ღაზარტირაჰა“ გაბონილი
 კველსალდათური სიძლარა

გული მომდის, ცუდად ვსდები,
 ჯაყვა-დანით ვიჭრი ყელს, —
 თავად ბრიყვი ოფიცერი
 ჯარისკაცს რომ მიბრიყვებს.

ომია და რა ომია! —
 ძველი სედა მერევა! —
 ცოლად მომყავს სალომეა —
 ვერულების ვენერა.

მზე ჩადის და არ ამოდის,
 რა აკვნესებს იაღონს? —
 მტკვარმა ძველი კალაპორტი
 პერანგივით მიავლო.

გამიშალა სატრფომ კარტი,
 მთვრალი ვარ და ვებნადლებ..
 რა ვქნა, ჩემი ავტომობილი
 ერთ ბოთლ ცეცხლში გავცვალე!

„ომობანა“ აღარ მინდა,
 არც არაფერს დავეძუ!
 პაუტვანსტში ჩაჯდები და
 ვიოცნებებ მთვარეზე..

სინდისი

უკულო ძალდი კუდს იქნევდა!..
 უთავო კაცი ქუდს იხურავდა!..
 ულექსო მგოსანს ადიდებდა დარბაზი
 ტაშით!..

„ვაიშე, დედა!“ —
 სლუკუნებდა უდღეო ბავშვი!..
 უენო ზარი გვაფსიზლებდა
 დუმილის ენით!
 გვეძინა, მაგრამ გვაღვიძებდა
 სინდისი ჩვენი!..
 უკულო ძალდი კუდს იქნევდა!..
 ქუდს იხურავდა უთავო კაცი!..



ყვავი,
 რომელსაც
 უნახავს ვაჟა,
 მაინც ყვავია!

განქვანებული
სასიძო

ალეკო შენ გელოიას ერთი გოგონა შეუყვარდა ეს ამბავი
 ომამდე მოხდა, ალექო ჯერ კიდევ ჭაბუკი იყო და თავს იწონებდა
 იმ ლექსებით, რომლებიც ორიოდ წელი იყო, რაც ქვეყნდებოდა
 ჟურნალ-გაზეთებში. გოგონას მოსწონდა ალექოს ლექსები და
 შეყვარებული ახალგაზრდა პოეტისადმი თანაგრძნობით განიმს-
 კვალა კიდევ. თითქმის შეთანხმდნენ დაქორწინებაზე, როცა გო-
 გონამ შინ მიიპატიჟა, — ჩემს მშობლებს სურთ შენი გაცნობა!
 ალექომ ახლო მეგობარი ვლადიმერ ჯიბუტი იახლა და საცო-
 ლის ოჯახს ესტუმრა.

გოგონას დედა ხალისიანად შეეგება სასიძოს.
 მამა არ ჩანდა.
 სუფრა გააწყვეს.
 უკვე მაგიდასთან ისხდნენ, როცა კარი შემოაღო ზორბა, ხორ-
 ციანმა, კისერჩამსხვილებულმა კაცმა.

— გამარჯობათო! — თქვა და ისე დაჯდა სუფრის თავში,
 სტუმრებისთვის არც შეუხედავს.

— ბოინში ვმუშაობ, კაცო, და დღეს იმოდენა საქონელი მო-
 რეკეს დასაკლავად, ვედარ ავუთავდით! — ეს ბოდიშისნაირად კი
 არა, ისე თქვა, თითქოს არც არავის ელაპარაკებოდა.

ორი ლუკმა პირში ჩაიღო, არ გაულეჭავს, ისე გადაყლაბა და
 უცებ იკითხა:

— სასიძო რომელია?
 ალექო წამოდგა.

ოჯახის უფროსმა ახედ-დახედა და ფეხზე მდგარ სასიძოს უმა-
 ლვე ჰკითხა:

— რა მოხელე ხარ, ბიჭო?!
 — ლექსებს ვწერ, პოეტი ვარ! — უპასუხა ალექომ.
 — ა, ისა ხარ, რომ ჯღაზნიანს? — ჩაიხიზითა ყასაბმა.
 — არა, პოეტი ვარ, ლექსებს ვწერ! — გაიმეორა ალექომ.
 — ჰო, ჰო, ერთი და იგივეა! ასე არ არის, კაცო?! — ვალოდია
 ჯიბუტს გადახედა ოჯახის უფროსმა, თითქოს მის დასტურს მო-
 თხოვდა, — ლექსის მწერალი, ლექსის მკლანელი, ერთი და იგი-
 ვე არ არის?!
 — არა, ბატონო, მე პოეტი ვარ! — დაჟინებით იმეორებდა
 ალექო.

— მერე, ბიჭო, მაგით გინდა არჩინო ჩემი გოგო?!
 — არა, მარტო ამით არა! — საერთოდ, ოდნავ ენაბლულ ალე-
 კოს სასიძომროსთან საუბრის დროს იბღალად არც ერთხელ არ
 დაბმია ვენა, თორემ ვინ იცის, ყასაბას მიერ ახირებულ პოეტს
 კიდევ რა დღე დაადგებოდა, — სამსახურს დავიწყებ, ვიმუშავებ
 საღმე!..

თოფნაკრავით წამოვარდა ყასაბი, გვერდულად შებრუნებულ-
 მა თითგაწვდილი ხელი სტუმრებისკენ მიაშვირა და მიაყარა მათ:
 — ჭამეთ და დალიეთ, შვილოსან! ჭამეთ და დალიეთ და წა-
 ლით აქედან! — თქვა და ოთახიდან გავიდა.

ვერის ხილთან, ავტოსადგურის გვერდით, ნახევრადსარდაფში
 სასადილო იყო. მეზუფეტეს ვლასი ერქვა. მწერლები ხშირი სტუმ-
 რები იყვნენ მისი, იაფადაც გამოდიოდნენ და გულხასიათიანი ვლა-
 სიც თავს ევლებოდნენ, უყვარდა ვლასის მწერლები, განსაკუთრე-
 ბით — ახალგაზრდები, ხშირად მათ ნისილაც გაუშლიდა სუფრას.
 სიმონ სხირტლაძეს თამალობისას ერთხელ წამოსცდა: „გაუმარჯოს
 ვლასიკუნას, ღვინოს გეასმეგეს კლასიკურად!“

სასიძომროს ოჯახიდან წამოსული გაწვილებული ალექო და ვა-
 ლოდია, რა თქმა უნდა, იმ დამეს ვლასის მიადგნენ და გულის
 ჯავრი ასე გაიქარვეს.

ყასაბის გოგონა კი შემდგომში სხვაზე გაათხოვეს და მან პირ-
 ველ შვილს ალექო დაარქვა.

ლალო სულაბერიძე

ქვეყნის

ანუ

ოთარ მამფორიას

ინტელისიუელი დიპლომატი

სადღაგრძელოდ თქვენი
მეგობრობის კოოპერირება კრებაზე
საპარტიულს ვფარაღთა კავშირში

ლისის მთიდან მალა იწევს
მთები საოცნებო!..
ნაკვეთები საკეთები
იქ გვარგუნეს, ძმებო!

ადგილს საგარაკოსა
პქვია მუსათწყარო,
თუმც მუნწარი არ შრიალებს
და არც წყარო ჩქამობს.

მაგრამ წყალსაც გამოვიყვანო,
გზასაც — მთათა შორის,
მწვანე მოღზე დადგამთ ოდას
(ცისფერს, სხვათა შორის!),

ელექტრონის შუქსაც ჩავრთავთ,
ტელეფონის საზსაც,
გაზქურებში ვატკრიციალებთ
მოპარპალე გაზსაც,

კარმიდამოს შემოვრავავთ
ბუნქნარ-ეკალ-ბარდით,
ბოსტანში კიტრი ისარებს,
ბაღნარში კი — ვარდი!..

ჩაყვრით ვენახს, დაუთვსთ სიმინდს,
შევაჯვარებთ სეხილს!..
კალთა სვავეთ აივსებთ
მარნისა და ბელლის!..

ალბურ ტყესაც გავაშენებთ
მთებზე ზონა-ზონად.
რა აჯობებს ფიჭვის სურნელს
და პამპეში წოლას,

ან ჭადრების სეივნების
მოფარდაგულ ჩეროს,
თუკი რამე გვეწერება,
დავსხდეთ, ერთად ვწეროთ!


მაგრამ, ძმებო, ყველა ამას
ვინც კი მოესწრება, —
დღეს ჩვენს შორის თუკი არის, —
ვთხოვ კომწვერთა კრებას, —

ვადღეგრძელოთ, თუ არადა,
შევსვათ დაუსწრებლად!

—:—

მისი წიგნი ექვსი კაპიკი ღირს,
ცარიელი რვეული კი — რვა.
თავს რომ მაინც ნოვატორად თვლის,
ორი კაპიკის რა დაწერა, რა?!

ნახ. ი. ყინაზვილიძის



უსიტყვოდ

ნახ. ბ. ზუბაზვილიძის



უსიტყვოდ

საქიურალ-ირონიური

თეოკოსა

დღეს, როცა გააქტიურდა „ადამიანის ფაქტორი“, გააქტიურდა მჯღაბნელიც, გრაფომან-პლაგიატორი, შემტვევი განდა მომწერლო, უნიჭო ვაი-ავტორი და ძალდი პატრონს ვედარ ცნობს, რადგან წერს... ძაღლის პატრონიც!..

პატივმოყვარე მწერალი - სამოგლოს

მე ვარ შენი მეცისოვნე და პატივი მეცი სოლმე!

პოპულარობის სასწრაფოზე მქუსარე ტაშით ქანაობს იგი და ავარდისფრებს ტაში ყველაფერს პოპულარული იმ მწერლის ირგვლივ!..

„გაორა ლეკსით“ პირველადი

„დიდსა ვერ მოჰკლვენ, სელად აქვს სოცა ნადირთა მცირეთა“, და მაინც ყველა ოცნება იქციეს სინამდვილედა!..

ჩვენს შემდეგ კიდევ ასი თაობა დასციენებს ზოგთა ვალბსიტყვაობას!

ავტორო სქელ-სქელი წიგნების, - რომლებსაც სშირ-სშირად გიცემენ, - მე შენი სიტყვებით ვიღლები, სასვენი ნიშნებით ვისვენებ!

მედროვე პოეტს

„დრო, დრო აღნიშნე, მოაწერე ლექსს“, ლექსი, თუ გინდა, მოაზერლე!

აქვს მკერდს მიდე ფული... ფარი, როგორც უნდა!.. ცხოვრობს დიდე ფულად, წერს ძალიან ცუდად!

ზოგი თავსა თვლის მეღვქესთა იმ კარგთა სწორად! (კრიტიკისგანაც ასე არის შეფასებული). ამორალური ზოგი პირი გვიკითხავს მორალს, ანუ ზნეობას გვიქადაგებს ზნედაცემული!..

თითზე კბენანი სულ არ იცოდა, თითიდან ლექსებს შაინც იწოვდა!..

მეწერალურაგავალს

მწერლის გქვია შენ სახელი, ჩვენ კი გველად გვესახები! ამოიყვან გველსა სწრელით და იმ სწრელში შესასლდეში!

ფრინავს, თუმცადა არა აქვს ფრთები, თავისი გააქვს მას გააფთრებით!..

საღმრთაარული

სინდისის ქენჯნას განა გრძობს! - გვაწვალებს, წერას განაგრძობს!..

თვითდამზვიდავლ მწერალს

მწერლობა გადინადირე, შენთვის ყველა დღე ღზინია!.. „საწუთრო ნაცვლად გატირებს, რაც ოდენ გაგინცინია!“

მისთვის ქუსლი აქილევსის არის წერა კარგი ლექსის!

სიტყვა სიყალბით შელესე, შეღებე მწარე გონებით!.. რა ეშველებათ შენს ლექსებს, როცა შენ არ ეყოლები?!

მარტო აკლდამა აკლდა მას და შიბარეს აკლდამას!..

პლაგიატორს

სისხლისმწოველი ყაშა ხარ, თავი გგონია ლამბალო, დაბადებულო ყანაღად, პლაგიატორო დაშალო!

მეწიწეებიდან დაბრუნებული მწერლის ანგარიში

ნაკლსა და ხარვეზს ვეძებდი, ვერ ვნახე, აღმოფხვრილიყო და სკოლის დარაჯს ვკითხავდი: „შენ ხომ არა გაქვს, ილიკო?!“


რაც სიკეთე გააჩნდა, თავის წიგნში დამალა, თვითონ დარჩა თვისივე ბოროტების ამარა!

თვალს წყალი დააღვეინა, დაწერა წიგნი წყალწყალა, ჯერ დაბეჭდვაზე იწვალა, მერე მკითხველი აწვალა!..

ყალბი მწერალ-პატრიოტი - ყველა - უნდა ათრიო თმით!

რაც მკედარს გითხრეს, იმისი თუნდაც მეასედი, ცოცხლისთვის რომ ეთქვათ, ას წელს მიაღწევდი!

ნახ. ნ. სოღელისა



უსიტყვოდ

ნახ. ი. შინაზვილინა



ჩვენს გავხდი ნამდვილი ქაქაძი

მოღარნისტი პოეტის ცისანა
გუხსრიპიძის წარილი საყვარელი
გოგოლაგისადმი

ვიღუფ ხელში კალამს და რამოდენიმე კილომეტრის მანძილიდან გიძღვნი პოეტურ სალამს საყვარელო დედამა.

ასლა ჩემს ამბავს თუ იკითხავთ კარქათ ვარ არაფელი მიჭირს მანდამინც. ასლა ნაზიკო მასწავლებელი ქე რო მეჩემებოდა მაქანე ვერ ჩააბარეფ და ვერ ჩააბარეფო, კი ჩავაბარე მარა მერე დევიყურე, რომელ-ღაცა გამომცდელი დემეტერა ნამეტანი და არ ჩამრიცხენ უმაღლესში.

იგიო, ასე მითხრენ პოეტი კი ყოფილხარ კაიოვო მარა მართწერაში და სასვენ ნიშნებში უნდა ივარჯიშო კიდოვოვო.

მართწერას და სასვენ ნიშნებს მოუკვტა პატრონითქვა მეუთხარი, პოეტი, თუ ვარ კაი ფილოლოგიის ფაკულტეტზე თლა პირველათ მე უნდა დამაჯინოთქვა.

არავო მითხრენ ჯერე უნდა დეიბეჭდოვოვო, მასე შე ქალო, შენ კარა გალაქტიონს, არ დავაყენდიოთ. რედაქციას მიაკითხევო.

ასლა რედაქციაში არ იკითხავ რა ქნენ? რო დოუდევი ჩემი სკელი რვეული იკითხა და იკითხა იმ ქალმა, ჩვენებური გამოდგა გაღმართელი, აღვარღვალა და აღვარღვალა ცრემლი.

შენ გამოთქვი ეს ლექსები სულყველო? მკითხა.


მე გამოვთქვიოთქვა.

მერე შე ქალო ასლა ვილამ წერს მასე შეწყობილ ლექსებსოვო? მხარე-გამახარე და გული-სიყვარული რო გავირითმია რას წვალოფ რო წვალოფ, შოუწყობლად უფრო, ადვილი არალიო?

კითქვა მეუთხარი მარა რაფეროთქვა?

რაფერ და დაჯექი ასლა აგერ და წეითხე რაც ჩვენთან იბეჭდებავო.

წვეკითხე მარა რა წვეკითხე. ამ ჩემ წერილს ხო ყუროფ, დია, შენ, ა ეს წერილი და ა ლექსი, დაჯექი და მოყევი რაცხა ამბავი გადაგხდია თავს, მეტი არაფელი. მარა სტრიქონსტრიქონ ქე უნდა გააწყო რავარცხა იქნება.



უსიტყვოდ

ასლა იმის კითხვას ხვარ მივაკლავდი თავს, ავდექი და დაჯექი და დაჯექი მეც. იგი-თქვა, დაჯექი, გარინდულა ჩვენი მდინარეთქვა, მდინარეც მარტვანე, მეც მარტვანეთქვა, ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არალითქვა. ჩალიღერაზე ცვარი ქე რო შერჩენილა ერთი წვეთი, დედაჩემის კურცხალია იგი და დედაჩემი მეხვეწება წამყევი შვილო ხვალე სათოხარში, მარა მე ჯერე ჩემი დაკარგული ბავშვობა უნდა მოვძებნო ჩემო ტკბილო დედიკოთქვა.

ასლა გადირია ის ქალი მარა რა გადირია.

შენო მითხრა იგი ყოფილხარო, ნამდვილი მოღერნისტივო ტყუილათ კარ ხარ გალაქტიონის მხარიდანო. ლიანა და ლიანავო, მიაძახა თავის ამხანაგს, მოდი ერთი წეითხე რას წერს ეს ბალანავო. მერე ყოლიფერთან ერთად აქტუალურიც რომ გამოუვიდა ამ შერჩენებულს, სათოხარიო, ხომ გესმის შენ ასეთი თემები სანთლით გვაქვს საძებარიოვო.

გაკრა და გამოკრა გაკრა და გამოკრა ხელი, პატარა ქეც ჩამისწორა რაცხა-რაცხა ხოდა გოურბენია მერე გამგეს ხოდა გევიხედე რამდენიმე დღეში და ეგერ არაა ჩემი ლექსი დაბეჭდილი?

ასლა ამის მერე არ იკითხავ რა ქნენ საყვარელო მშობლებო? რა ქნენ და მტაცენ ხელი და მიმიყვანენ კავშირში წამაკითხენ ლექსები მიკრენ ტაში დამიბეჭდენ კილო წამაკითხენ კილო მიკრენ ტაში დამიბეჭდენ კილო მომცენ ერთი ოთახი წამიყვანენ ბაკურიანში გამგზავნენ ქარსანაში მკითხველებთან იქინეც მიკრენ ტაში დამიბეჭდენ კილო და რავარც იქნა გავხდი ნამდვილი პოეტი.

ასლა მაცალეთ პატარა უნდა გავხდე კავშირის წვერი მივილო ოროთახიანი ბინა გამოვცე წიგნი ვათარგმნიო სხვადასხვა ენაზე და ვასახელო ჩემი მშობლები და ჩემი პატარა საქართველო.

ასლა მომიკითხეთ ჩემი საყვარელი მეზობლები გიუშია და თალიკონე.


ასლა მომიკითხეთ ჩემი, საყვარელი მასწავლებლები არ შეგარცხვენთ თქვენი გაზდილი ცისანეთქვა უთხარიო.

კარქათ მეყოლეთ საყვარელო მშობლებო თქვენი მარად ცისანა ბუცსრიკიძე.

პუბლიკაცია მოამზადა, სტილი, მართლწერა და პუნქტუაცია მოაწესრიგა

ა. გველაქია

საქონი



დოდო ვადაჭკორიას - საბავშვო მწერალს,
შიო მღვიმელის პრაქიის ლაურეატს.

საქართველოში ქალების სიბერე მართლა ჭორია!
თუმცა ბებია უკვე ხარ, „ჯერ ვარდი არ დაგჭკნობია“,
თეთრი ვარდივით ანათებ დღეს, დოდო ვადაჭკორია!

მწერლების ბავშვთა სექციის ბიუროს წევრო ქებული,
რედაქციას დახედავ, „პიონერს“ როცა ლებულობ:
- „სომ არ შემცვალა ვინმემო?“ - პირველად ამას გებულობ!
ვინ შეგცვლის, მწერლობისათვის დღედაღამ გადაგებულო?!

ამართლებ უზენაესად სიმშაშვილის ქალობას,
ბებიას გადმოუცია წერეთლის გვარის წყალობაც.
თავისი ხარკი გაიღო მგოსნის გენების წყაროშაც!..
იმდერე - საქართველოში ბუღბუღს ვინ უშლის გალობას?!

მთის გული უფრო გათბება, იმ მთას როდესაც დაათოვს!..
გიზგიზებს გულის ბუხარი, რომ თაობები გაათბოს!..

მარად გვსურს, შენმა ჭალარამ თეთრი ვარდივით ანათოს!
ბებიას გშენის თეთრი თმა! - არ შეგეღებოს არასდროს!

ხშირად ვკითხულობთ მწერლები: „ფეხზე რომ ვდგავართ,
ვინ - ვისით?“
შენა ხარ ყველას მშველელი სიტყვით და სიკოს „ვილისით“,
გულის და სახლის კარს გვისხნი კიკეთშიაც და თბილისშიც!

მწერლების დაო, დობილო, კეთილო, კეთილშობილო,
ნათელასა და სულიკოს სულიდან გამოსობილო,
სულ გულმხურვალედ მენახო, სითბო რომ კარგ ხალხს აძლიო,
შენისთანების სიცოცხლე კი ღირს, რომ გავასანგრძლივოთ!

სამჯერ სამოც წელს გისურვებთ, მუდამ სიკეთე გეთესოს,
საუკეთესო მწერალო, გეცხოვროს საუკეთესო!

გიორგი წარეთელი

განსხვავება

ჭიჭიჭიჭი

და ნაწილურად

საპირთველონ : მწერალთა კავში-
რი პირველი კვარტალის ლუწ და მეორე
კვარტალის კენტ რიცხვებში (აგრეთვე დღე-
სასწაულების წინა და შემდგომ დღეებში)
მწერალთა კავშირის წევრად გახდომის
მსურველთათვის აწყობს ღია კარის დღეს.
მსურველებმა თან უნდა წარმოადგინონ
კარის მეზობელთა ან ახლო ნათესავთა
მიერ ხელმოწერილი ორი დახასიათება-რე-
კომენდაცია, ცნობა ადგილის დედის ად-
გილსამყოფლის შესახებ, ოთხი ფოტოსუ-
რათი (4X6), სასურველია ახალგაზრდობაში
გაღაღებულო; დაბადების მოწმობის ასლი,
შეღარებული საეკლესიო ჩანაწერთან, ამო-
წერილი შრომის წიგნაკიდან პირველი და
ბოლო (თუკი პირველი ბოლო არ არის)
სამუშაო ადგილების ჩვენებით, შრომითი
კოლექტივის საერთო კრების გადაწყვეტი-
ლება კოლექტივის მხატვრული შემართანის
საჭიროების დასაბუთებით.

ნიჭი სავალდებულო არ არის!
რ. იმერელი

ზოგ რედაქციას მოედო სენი:
თხზავს რედაქტორი საკუთარ წესებს,
ნაპოეტარი მგონია ბრძენი
და პოეტების მას აძლევს ლექსებს,
რომელთაც მუდამ ამშვენებს ვიზა:
„გთხოვთ მოამზადოთ!“ ან — „თქვენი
აზრი...“
და სცდება ლექსი ჭეშმარიტ მიზანს,
უვიცი სტროფებს კრუხივით აზის,
ნაპოეტარი მიმართავს ავტორს:
„მე, მესმის, შეილო, გინდოდა რის თქმაც,
მაგრამ არა ხარ შენ ნოვატორი,
არ კმარა მართო ახალი რითმა!
შენ შორს ვერ წახვალ, ვერა, ამ ლექსით
და მის დაბეჭდვას ამოდ ცდილობ,
მხატვრული სიტყვა ხმაღს ჰგავს აღვისილს,
შენი კალამი ბლაგვია, შეილო!“
ყველას არ ესმის ლექსის ავ-კარგი,
ეგ საქმე განლავს განა ილიო?
შენ ვერ გამოხვალ აწი აკაკი,
ვერც ვუა და ვერც გალაქტონი!“

ერთს ეუბნება: „თემა სხვისია!“
მეორეს — „თერს ლექსს აღარ წერ
რატომ?“
მესამეს — „შენი ხნისას, ბიბია,
სულ აღარ იყო ცოცხალი ტატო!“
მეოთხეს — „რითმებს ღვარჭნი მტადლო!“
მეხუთეს — „ლექსში ჭარბობს გონება!“
მეექვსეს — „რა ვქნა, ვიცი, რედაქტორს
სათაური არ მოეწონება!..
თან ჟურნალშიაც არ გვაქვს ადგილი,
ამხანაგურად უნდა გამიგო,
პოეტობა რომ იყოს ადგილი,
მე შენზე აღრე ვწერდი, ძამიკო!“
ნაპოეტარი, ხელმოცარული,
სხვების ნააზრევს ატანს სანაგვეს
და სულმდაბლის შური ფარული
საუბედუროდ, სხვის ბედს განაგებს!..
მსურს ვკითხო: სხვისი ქება რად უჭირს?!
რატომ არ ლოცავს გზას ხელოვანის?!
სხვებს რად კბენს, თვით თუ არა აქვს ნიჭი
და თუ არა სახელოვანი?!
ვანო ცინცაძე

ნაკრები

- ზომი წიგნი მხოლოდ ერთ რამეს გვასწავლის — ყველ-აფერი განურჩევლად არ ვიკითხოთ!
- პატრონის სიღრმეს ყველა თავისი არშინით ზომავეს.
- საბჭოთარი თავის პატრონი ხარ! — მეტი სიმდიდრე რაღა გინდა?!
- პარბად ხუმრობა მანამდე შეიძლება, სანამდე მას სერი-ოზულად არ მიიღებენ!
- რამდენ მწერალს არ გაიცნობ ამ პაროდიების შემ-წეობით!
- შეჩერდი, პროგრესო, შენ მშვენიერი ხარ!
- მე უვიცი ვარ და ამას ჩემით მივალწვი.
- პიესის ავტორი ხშირად არავითარ როლს არ თამაშობს.
- ყველანაშ უკეთესი წარმოდგენა ის არის, რომელზეც შეიძლება წარმოდგენა შეგექმნას.
- რა მქუხარე სახელია საჭირო, რომ უნიჭობა მიაჩუქოს!
- გამოცდილი რედაქტორი აფორიზმსაც კი არ ჩაიკი-თხავს ბოლომდე.
- მწერალი ყოველ სიტყვას წონიდა და ასე შეაგროვა 20 კილოგრამი.
- დილოგი — ეს ბედნიერებაა! ნუ დაახურდავებთ მას მო-ნოლოგებზე!
- ზოგჯერ ისე არაფერი უშლის ხელს თეორიულ წრდას, როგორც პოპულარობის წრდა.
- ცოცხალ სიტყვას შეუძლია რობოტიც შექმნას.
- შემოქმედებითი ხელწერა საბეჭდო მანქანის ტიპზეა დამოკიდებული.
- რა მშვენიერია ეს სამყარო! — ალტაცებით აღმოხდა მწერალს, როცა ფერადი ტელევიზორი ჩართო.
- ლექსები რომ არ ეწერა, არ შეეძლო, მაგრამ ასევე არ შეეძლო წერაც.

ალმოჩინა

სამტკარი აღმოჩენა მოახდინა ამას წინათ მწერალმა ბეჟუ-ძემ: თურმე, აგერ უკვე მთელი წელიწადია, იგი სამუშაოდ და-დის თავისაში კი არა, სხვა რედაქციაში.

წიგნის თარო

გამოვიდა მწერალ კალამაძის ახალი რომანი „მწყემსი“. იგი შექმნილია მწერალ მელანოძის რომანის „მენახირის“ მოტივებზე.

დილოგი

- რატომ წერს ეს მწერალი სულ ცხოველებზე?
- იმიტომ, რომ ცხოველებმა კითხვა არ იცაინ!

თარგმნა ე. მერაბიშვილმა
„ლიტერატურაშია გაზეთა“

ნახ. ვ. კუცინსი



უსიტყვოდ

პარადოქსების გაჩვეულებრივება

ზოგჯერ გულისხმა მოდგება და ამისირდება, — საწყალს ჰგონია, რასაც ჩივის, გამოიკვირდება, სირცხვილის ოფლი გადასცდება, ჰგონია, შუბლზე, ან მის მოთქმაზე ვიჭირქილო — გამოვირდება. — ნელნელობითო საზრუნავი ზოგის მცირდება, მის საკეთებელს გაკეთება აღარ სჭირდება, მოსაფიქრებელს მოფიქრება აღარ სჭირდება, შესაყვარებელს შეყვარება აღარ სჭირდება!.. და მაინც უნდა გავიკვიროვო ყანდიად, თუმცა — მპარავსაც ზოგჯერ ბნელი ღამე აღარ სჭირდება!... ამა საქმეში ზოგმა ისე გადაამლაშა, თვით თავ ეშმათა აბითუროს ლამის კრებული! ვაყვაცი არის, ვაყვაციობის ყოვლის გარეშე, ფიქრის გარეშე აქვს საფიქრი მოფიქრებული!.. სიკეთე სანთლად — აუნთებლად — მისგან ინთება, ღია აქვს მუდამ დაგმანული გულის კარები, გასაკეთებელს ის აკეთებს გაუკეთებლად, შეყვარებლად შეიყვარა შესაყვარები!..

და ასლა უკვე სულ სხვა ფიქრის მართვე მოფრინდა, შორი აპრილის მოფურტულე სხვიით შემთბარი!.. ვითომდა, ჩემი ვაჭირება არა მყოფნიდეს, ახალმა ლექსმა გამიჩინა საქმე, ღმერთმანი!

ანწორ აბულაშვილი

სტინკილია დიარია

ერთ ვაი-პოეტს, ვინაც სიამას მისიანთა ლანძვარში პოეზებს

სიყრმიტ სიბერემდე, შინა თუ კარჩი, სოფელჩი, ქალაქჩი, მთაჩი თუ ბარჩი, ზამთარჩი, ზაფხულჩი, ავდარჩი, დარჩი — მუდამ ბრიყვი იყავ, ბრიყვადეუ დარჩი!

ან-ს

ნუ „ერისკაცობა“ მანამდე ჯერ ბევრი რამე გიკლია! „ზოგე მთაკაცის გონება მსუბუქი ჩიტის გინგლია!“

ვაი-მთარგმნელს

ქართულ სიტყვას ჩაეწმანე (ეგრე ხეზე სურო გადის!) მახსოვს, როგორ მარჯვედ სთარგმნე „სუ რქიან“-ად „სუროგატი“! ალექსი შინჭარაული

უვიცი კრიტიკოსი

ის უმეცრების შენობის კართან ვრთს ამბობს თვითონ, სხვას — ლექსის პწკარი! ლექსია აღთას, თვითონ კი — ბალთას, მათ შუა უზის ვეება ზღვარი, — ვს ზღვარი მისი აზრია მდღარი!

გაორკაული

იგი ორნაირ სიმებს აქლერებს, ორნაირ სმაზე მღერის და მღერის!.. რასაც მარჯვენა ხელით აწუნებს, იმასვე ანგრევს მარცხენა ხელით!

ჩვეულება

რომ გამართავს წვეულებას, არის მისი ჩვეულება — მასთან თავი მოიყარონ ამა ქვეყნის „ჩვეულებმა“!

გიორგი შთიქაური

ჩარლზ დიკენსი თავისუფალ დროს სიამოვნებით თევზაობდა ხოლმე. თავისი სახლის მახლობლად მუდამ ერთსა და იმავე ადგილზე, მდინარის პირას ჩამოჭლებოდა, ჩაუშვებდა წყალში ანკეს-ლი ფიქრს ეძლეოდა. სათევზაოდ ასეთი უხერო ადგილის შერჩევით გაკვირვებულმა მეზობელმა ერთ დღეს უთხრა:

— არა მგონია, აქ რაზე დაიჭიროთ! მდინარის სათავისაკენ უნდა აუყვით, იქ უხვად არის თევზი. უკველ ჩაშვებზე ანკესს თითო კალმახი წამოგება!

— ვიცი, მაგრამ ანკესის მალიმალ ამოწევა ფიქრში ხელს შემოშლის! — მიუგო დიკენსმა.

* * *

ალფონს დოდე შეხვდა ერთხელ პარიზის ბულვარული გაზეთის „სკანდალის“ გამომცემელს.

— მისმინეთ! — უთხრა ავტორმა მეგაზეთებში მწერალს, — თქვენ შეგიძლიათ რამდენიმე ათასი ფრანგი გამოიმუშაოთ, თუ ჩვენ გაგაძელებებით დაგვიწერთ მოთხრობას, რომელიც რომელიმე არამზადის ცხოვრებას შეუღამაზებლად გამოხატავს.

ალფონს დოდემ დამსწრეთ მრავლისმეტყველად გადახედა და თანამოსაუბრეს თავის გაქნევით მიუგო:

— რა საჭიროა, როცა ვაცილებით უფრო იაფი დაგაძელებათ, თუკი თქვენი თანამშრომლების დღიურებს გამოაქვეყნებთ!

* * *

გამოჩენილი გერმანელი მწერალი თეოდორ შტორმი შუაუფში მოსამართლედ იყო. ერთხელ სასამართლო პროცესზე რომელიმე მოწმე ჩვენების მიცემისას ტყუილს ამბობდა. შტორმი სიტყვა შეაწყვეტინა და მოსთხოვა, მხოლოდ სიმართლე ელაპარაკა.

უხროყარი იყმარი

— მე სიმართლეს ბავშვობიდანვე შევეუღდე, ბატონო მოსამართლე! განაცხადა პათეტიკურად მოწმემ.

— კი მაგრამ, რამდენი ხანია, რაც დაქვირვდით? — მიუგო ცივად თეოდორ შტორმი.

* * *

როდესაც ლესინგი ბერლინში ერთ-ერთი ჟურნალის რედაქტორი იყო, რომელიმე ავტორისაგან ლექსი მიიღო. ლექსს სათაურად ჰქონდა: „რატომ ვარ ცოცხალი?“ რამდენიმე დღის შემდეგ ლესინგმა ავტორს ლექსი უკანვე გაუგზავნა და თან მისწერა: „ცოცხალი იმით ხართ, რომ ლექსი პირადად არ მოგიტანიათ!“

* * *

მართი კრიტიკოსი ცნობილი ფრანგი მწერლისა და დრამატურგის ალექსანდრე დიუმას რომანში ერთ ფრანს აკრიტიკებდა:

— რა არის „მტიცენული სივარდილი“? როგორ შეიძლება ცარიელი საგნის ტივილი?

დიუმამ მიუგო: — განა თავი არასოდეს გტყვივებიათ?!

* * *

ბერნარდ შოუ ერთმა კოლეგამ თეატრში მიიპატუა, სადაც მისი ახალი კომედია იდგებოდა.

როდესაც თეატრში მივიდნენ, კამედიანერმა ავტორი სიამოვნებით შეგპატიუა, ბერნარდ შოუს კი არ უშვებდა. მაგრამ ბოლოს საქმე მოგვარდა.

სპექტაკლის შემდეგ ბერნარდ შოუმ კამედიანერი მონახა, ერთი გირვანჯა სტერლინგი აჩუქა და მოუბოდიშა: — მოწმე ვით, გეთყუა, თურმე თქვენ ჩემი სიკეთე გლომებიათ!

* * *

— მე მედიცინა მივატოვე და მინდა მწერალი გავხდე! — უთხრა თომას მანს ახალგაზრდა ექიმმა, — ვფიქრობ, ადამიანებს ამით უფრო მეტ სარგებლობას მოვუტან!

— თქვენ მათ საკმაო სარგებლობა უკვე მოუტანეთ იმით, რომ მედიცინას თავი დაანებეთ! — მიუგო მწერალმა.

* * *

გამთე ვაიმარის პარკში სეირნობდა. ვიწრო ბილიკზე, სადაც მხოლოდ ერთ ადამიანს შეეძლო გავლა, კრიტიკოსი შემოხვდა. იგი მტრულად იყო განწყობილი გოეთესადმი და ბრძანებით უთხრა: — შე სუღელებს გზას არ ვუთმობ!

— მე კი პირიქით! — მიუგო ღიმილით პოეტმა და განზე გადაა.

* * *

— საინტერესოა, სიყვარულში ღმერთმა გაგიღიმათ თუ არა? — ჰკითხა ნაცნობმა ქალმა მარკ ტვენს.

— არა, ჩემო კარგო, — მიუგო მან, — ერთადერთი ქალი მიყვარდა და ისიც გათხოვდა!

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა ქალმა, — ვის გაჰყვა?

— მე! — თქვა მწერალმა.

თარგმნა შოთა ამირანაშვილმა

ნახატები ტომარ პაიანისა (უნგრეთი)



შექსპირი



კაპუკა



ტოლსტოი



7-86

86-320

ნან. ჯ. ლოდუანი

ვერცხული
გინჯიროთქ



საბჭოებისა და იუპორის
შურნალი „ნიანგი“ № 9-
-10 (1716). მანისი. გამო-
დის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლგვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ვახუა ამირეჯიბი, ნოზალი
ბართაია, ზორის გურგუ-
ლია, რევაზ თვარაძე, ჯე-
მალ ლოდუა, ნოდარ მაღა-
ზონია (მხატვარ-რედაქტო-
რი), ალექსანდრე სამოსია,
ბეჟან სინარულიძე (მთავარი
რედაქტორის მოადგილე),
ჯანსუფ ჩარკვიანი, თამაზ
წიგწივაძე, ნაფი ჭუსოთი.

ტექნიკური რედაქტორი

მიხეილ კუხალაშვილი


გადაეცა ასაწყობად 16.04.
86 წ. ხელმოწერილია დასა-
ბეჭდად 8.05 86 წ. ქა-
ლალის ზომა 60 X 90 1/4
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცე-
ლი 3, სააღრიცხვო-სავა-
მომცემლო თაბანი 3,8, სა-
ქართველოს კბ ცკ-ის გა-
მომცემლობა, ლენინის, 14.
შეკვეთა № 976, უფ. 05060.
ტირაჟი 143.000. ჟურნალი
გამოდის თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული მა-
სალები ავტორებს არ უბ-
რუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაკების — 99-02-38,
მდივან — მეგანქანის —
99-76-69.

Сатирико - юмористиче-
ский журнал «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке) Тбилиси, пр. Ру-
ставели № 42. Издаель-
ство ЦК КП Грузии,
типография издательства
ЦК КП Грузии, Тбили-
си, улица Ленина № 14.

ფასი 40 კაპ.
ინდექსი 76137



დათა თუთაშხია: — ქრთამი არ აიღოთ, გაგაფუჭებთ და წაგახდენთ
ის ქრთამი-მეთქი, ხომ გავრთხილებდით მე?!

